

619
1957/2

57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა
№ 5 მაისი 1957

საქართველო





საპირველმაისო
დღესასწაული
საპირველყოფიანული
გეგლირთქვა

დიდი აღმავლობით ჩატარდა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული 1 მაისი

ფოტოზე — თბილისი. მშრომელთა და მოსწავლეთა საპირველმაისო დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე ტრიბუნის წინ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



გარეკანის პირველ გვერდზე: წყალტუბო. ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.
მეოთხე გვერდზე: ქართული ცეკვა. ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.

კლასიკები

საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალისათვის



საქართველოს ახალგაზრდობის
ფესტივალი

მხატვ. ა. სლოვინსკი.



საქართველოს ახალგაზრდობის
ფესტივალი

მხატვ. ი. ჩიკვაძე

მხატვ. ო. ქოჩაკიძე



მხატვ. ლ. მამალაძე

7552



ჩვენ კუნ-ფანი — ახალგაზრდა ჩინელი ქალიშვილი კოოპერატივ „პატრიოტი“ ხორბლის უხვი მოსავლის ოსტატადაა აღიარებული.

ჩინური
ბიზნისი

დარებით ორჯერ მეტია, აქვს გრძელი თავთავი, 90-მდე მსხვილი მარცვლით.

კურდღელაურელმა კოლმეურნეებმა ჩინელ მეგობრებს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ ხორბლის ახალი, გაუმჯობესებული ჯიშის გამოყვანას, მოუთხოვენ თავიანთი არტელის წარმატებაზე, სელექციურ მუშაობაზე, რომელიც ამ კოლმეურნეობაში სწარმოებს, გამოთქვამენ სურვილს ამიერიდან ურთიერთთან იქონიონ მჭიდრო კავშირი და მიმოწერა.

მაღე ჩინეთიდან კურდღელაურელთა სახელზე



კონვერტი წერილისა, რომელიც ამას წინათ კურდღელაურელებმა მიიღეს ჩინელი მეგობრებისგან.

მეგობრობის ხორბალი

ლ. ბინაძე

ჩინეთის ბევრ გაზეთში, მათ შორის „დრუჟებაში“, ამას წინათ საინტერესო ცნობა გამოქვეყნდა: აქ გამოუყვანიათ ხორბლის ახალი ჯიში, რომელსაც „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა“ ეწოდა.

ამ ცნობას განსაკუთრებული სიხარულით და დიდი ინტერესით შეხვდნენ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები, რადგან აღნიშნული ხორბლის ჯიშის შექმნის ისტორია მათ

ვინციის ძიუსიანის მავრის საწარმოო კოოპერატივის „პატრიოტის“ თავმჯდომარემ ლუი ხუნ-ბინმა გამოუშენა რამდენიმე თავთავი და ხორბალი სამშობლოში წაიღო.

ჩვენი ქვეყნიდან დაბრუნებულმა ლუი ხუნ-ბინმა მშობლიური კოოპერატივის წევრებს დაწვრილებით მოუთხორო თავისი მოგზაურობის შესახებ, უჩვენა მათ ქართული ხორბლის ჯიშის „ლაგოდების გრძელთავთავას“ მარცვლები. კახურმა მარცვლეულმა მიიყრო საწარმოო კოოპერატივის ძველი გამოცდილი აგრონომის დუ-სიუსი ყურადღება. ეს ხორბალი მან თავის საცდელ ნაკვეთზე დათესა. ბეჯითად მოუარა და მალე ჯეჯილიც აბიზინდა, მცენარე შესანიშნავად განვითარდა და მკვირვად ჩასხმული თავთავები გაიკეთა. აგრონომი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ლაგოდების გრძელთავთავა“ მათ პირობებში უხვ მოსავლას მისცემდა.

მაგრამ დუ-სიუსი ამას არ დასჯერდა: გადაწყვიტა ხორბლის ამ ჯიშის შეჯვარება ჩინურ ხორბალთან — „ბიმა № 1“, რომელიც ოქაურ პირობებს, მართალია, კარგად იყო შეგუებული, მაგრამ „ლაგოდების გრძელთავთავთან“ შედარებით ნაკლებ მოსავლას იძლეოდა.

დაძაბულ საცდელ მუშაობას ამოოდ არ ჩაუვლია — წარმატებით დაჯირგინდა: შეჯვარების შედეგად აგრონომმა მიიღო ხორბლის სრულიად ახალი ჯიში, რომელსაც დაერქვა „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა“. ამ ახალი ჯიშის ხორბლის მოსავალი ადგილობრივ ჩინურ ჯიშთან „ბიმა № 1“-თან შე-

მოვიდა ბარათი. კოოპერატივ „პატრიოტის“ წევრები გულწრფელ მაღლობას უთვლიან ქართველ მეგობრებს კეთილი სურვილებისათვის, სწერენ რომ ხორბლის ამ ახალ ჯიშს ახლა კოოპერატივში დიდი ფართობი უჭირავს და მალე იგი მთელ ჩინეთში გავრცელდება. განსაკუთრებით მაღალ მოსავლას მოგვლით წელს და მოსავლის აღებისთანავე გამოგიგზავნით ამანათს ხორბლის ამ ჯიშით, რათა თქვენც დათესოთ იგი — ეწერა წერილში.

არტელის წევრთა საზოგადო კრებაზე წაკითხულმა ამ წერილმა დიდად გაახარა კურდღელაურელები. მათ უკვე შეარჩიეს ნაკვეთი, სადაც დაითესება ჩინეთიდან მიღებული ხორბალი. ამ ფართობს „მეგობრობის ნაკვეთი“ უწოდეს.

ალანის ველზეც იზიზინებს მოძვე შორეული ქვეყნიდან გამოგზავნილი ამ ახალი ჯიშის თესლით აღმოცენებული ყანა, ამით ჩინელი და ქართველი ხალხი ერთ პურს გატეხავს მეგობრობისა და სოციალისტური სიმბოლოდ.

კოოპერატივის წევრები, რომლებმაც აგრარული რეფორმის განხორციელების შედეგად სამუდამოდ მიიღეს მიწა, აწარმოებენ საგაზაფხულო ხვნას კამეჩებით.



კოოპერატივ „პატრიოტის“ წევრები წინასწარ აფასებენ მოსავალს, რათა განსაზღვრონ სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ნორმა, კეთილსინდისიერად მოიხადონ თავისი პატრიოტული ვალი.

მშობლიურ კოლმეურნეობასთან არის დაკავშირებული.

ხუთი წლის წინათ, 1952 წელს, ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია. იგი ესტუმრა საქართველოსაც. გაეცნო კოლმეურნეობების, მანქანატრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკას.

ძვირფასი ჩინელი სტუმრები კურდღელაურის კოლმეურნეობასაც ეწვივნენ. მაშინ იქ ხორბლის აღება იყო გაჩაღებული. „ველის ხომალდები“ მწიფე პურის ყანებში დაცურავდნენ.


სტუმრები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ, როგორ იღებდნენ ხორბალს კომბაინით. მათ ძალიან მოეწონათ ადგილობრივი ჯიშის ხორბალი „ლაგოდების გრძელთავთავა“.

დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, შანდუნის პრო-



ლაზარაშვილი მისამართის

საქართველო
თბილისი



როდესაც ივანე ლაზარაშვილი და მისი ამხანაგები მისამართს იცვლიან, ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი კეთილი საქმე გაკეთდა და ერთ-ერთი უბანი ჩვენი მშენებლობისა კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდა.

ივანე ლაზარაშვილი და მისი ამხანაგები რკინიგზების ელექტრიფიკაციის ოსტატები არიან. გუშინ მათ შავი ზღვის სანაპიროებზე ნახადით, დღეს — მარგანეცით გაშვებულ ყველა ხეობაში მუშაობენ.

უფრო ადრე კი, 25 წლის წინათ, თბილისელი კომპაგნიერი ვანო ლაზარაშვილი (მამის არაჩინო ეძახდა ივანეს) სურამის უღელტეხილისაკენ გაემგზავრა და იქ, რკინიგზის ხაზის გასწვრივ წამოდგმულ ნაცროსვერ ბრეჟენტის ერთ-ერთ კარავში, ტექნიკუმის დამთავრების ახალთახალი დიპლომით წარსდგა სამუშაოთა უფროსთან.

— შემძლია უფროსი მუშის თანამდებობა შემოგთავაზოთ, თანახმა ხართ? — უფროსმა მკაცრად შეხედა ივანეს.

— როდის შეიძლება მუშაობის დაწყება?

— ახლაც, სამუშაო ბევრია, ასეთი უღელტეხილები კიდევ შეგვხვდება, ჩვენ ქვეყანაში ახალი დაწყებულია გზების ელექტრიფიკაცია... აბა, წადი, იმუშავე!

დიდი ხანია, რაც ელექტრომაგლეზი დაპქრიან სურამის უღელტეხილზე მას შემდეგ მთელი ქვეყანა მოიარა ივანემ. სად არ იყო, ჩრდილოეთ მაგისტრალზე და ტომსკის რკინიგზის ყველაზე ძნელ უბნებზე ამონტაჟებდა საკონტაქტო ქსელსა და ქვესადგურებს, რამდენჯერმე მიიღო მადლობა აჭრბაიჯანში მუშაობისას, თავი გამოიჩინა უკრაინაში. ყოფილი უფროსი მუშა, ახლა სამუშაოთა უფროსი მწარმოებელია, ყოფილი კომპაგნიერი ახლა კომუნისტია. დიდმა დრომ განვლო, საქმე მაინც თავსაყრელია. ყოველი ახალი ხუთწლიანი ახალ გრანდიოზულ ამოცანებს უყენებს ხალხს, ახალ მიზნიღველ პერსპექტივებს უშლის თვალწინ.

ერთი წლის წინათ, ლაზარაშვილმა და მისმა ამხანაგებმა, დაამთავრეს თუ არა კარბატის მთებში რკინიგზის ერთ-ერთი უბნის ელექტრიფიკაცია, ბრძანება მიიღეს შავი ზღვის სანაპიროზე მოეყარათ თავი.

ყველაფერს ნათელს ხდიდა რამდენიმე სიტყვა პარტიის დირექტივებიდან მიეჭვეს ხუთწლიანი გეგმის შესახებ — შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რკინიგზა ელექტრიფიცირებული უნდა იქნას. თბილისიდან ბელორეჩენსკამდე ელმაგლები გაივლიან ყველა გვირაბსა და უღელტეხილს.

და აი, ერთ დღეს, სოხუმის რაიონში გამოჩნდა ელექტრომონტაჟე მატარებელი 703. მის უფროსად მუშაობს რკინიგზათა ელექტრიფიკაციის

ი. მახაძე

ვეტერანი გარნიკ გომეზიბაშიანი, რომელსაც ივანესავე სურამის უღელტეხილზე დაეწყო მუშაობა. ორი ყველაზე ძნელი საწარმოო უბანი ივანე ლაზარაშვილმა და მისმა მოწაფემ ნიკოლოზ გორბუნოვმა ჩაიბარეს. ასეთი მოწაფეები ლაზარაშვილს ყველგან ჰყავს — ტომსკის გზაზე — მოყეიკო, სომხეთში — ხაჩატურიანი, ჩრდილო მაგისტრალზე — ბოუკო, ყველას გახსენება ძნელია...

უპირველეს ყოვლისა, მშენებლებს უნდა შეატყობინათ სოხუმ-სოჭის მაგისტრალის ელექტრიფიკაცია. პირდაპირი ხაზით ეს გზა 134 კილომეტრს უდრის. საკონტაქტო ელექტროქსელი კი თითქმის ორჯერ მეტი გამოდიოდა, ამას გარდა, უნდა აემუქებინათ და დაემონტაჟებინათ რამდენიმე წვეთი ქვესადგური. ჩვეულებრივად ამ სამუშაოების შესასრულებლად ორი, ორნახევარი წელიწადია საჭირო. მაგრამ ღია პარტიულ კრებაზე ლაზარაშვილმა წინადადება წამოაყენა, ახალ ხუთწლიან ვადებზე ახალი უნდა შემოვიღოთო, ყველა სიამოვნებით დათანხმდა, თუმცა გრძობდნენ, რომ ერთ წელიწადში სამუშაოების დამთავრება არც ისე ადვილი საქმე იყო.

სხვა ხასიათის სიძნელებიც წამოიჭრა. ჩვეულებრივად გზების ელექტრიფიკაციას იქ აწარმოებენ, სადაც უკვე არსებობს ელექტროგადამცემი ხაზები, აქ კი შავი ზღვის სანაპიროზე, ეს პირობები არ იყო. რუსეთისა და საქართველოს ბუნებრივი საზღვრები, მდინარე ფსოუს ორივე ნაპირზე ერთმანეთისგან დაშორებული და ძნელად დასაკავშირებელი ორი ენერგეტული სისტემა არსებობდა — „საქენერგო“ და „კრასნოდარენერგო“. გამოსავალი მარტივი და ყოველმხრივ ხელსაყრელი გამოდგა — საჭირო იყო ამ ენერგოსისტემათა ერთ მალამბიანი ქსელად გაერთიანება. ამით მეგობრობის კიდევ ერთი დიდი ხიდი გაიდებოდა კეთილ მეზობლებს შორის. მაგრამ სოხუმ-ხოსტას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაც საკმაოდ დროს მოითხოვდა. როგორღა გაამართლებდნენ პარტიულ კრებაზე მიღებულ ვალდებულებას, რომლის მიხედვით 1956 წლის დასასრულისათვის ელმაგლები მიუსერიის უღელტეხილზე გავლით სოჭამდე უნდა ჩასულიყვნენ?


ნაკადი ხერხი გაიხსენეს მშენებლებმა, მათ სოცმეჯიბრებაში გამოიწვიეს „საქელექტროქსელმშენის“ ორგანიზაცია, რომელსაც ევალებოდა ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა. მაგრამ ახლა ბუნებამაც წამოაყენა თავისი მოთხოვნებიანი. სანაპიროს გასწვრივ, ზღვაში ფეხჩადგმულ მთებსა და წყალს შორის, ზოგ ადგილას იმდენად ვიწრო მანძილია დარჩენილი, რომ შეუძლებელს ხდის სამუშაოების მთელი ფრონტიტ გაშლას, ათუთული

ლაფერს ვერ ჩამოთვლი, ყველაფერს ვერ იტყვი.

და აი, მეათე თვის დასასრულს, სოჭში შემოსრილდა ბირველი ელექტრომაგალი, რომელიც სამი საათის წინათ გამოვიდა სოხუმიდან. მას სინარულითა და ზეიმით ხვდებოდნენ ასობით ადამიანები. რამდენიმე დღის შემდეგ სოხუმიდან ადღერისაკენ დიპლომატიური სამგზავრო ელექტრომატარებელი. მან ადვილად გადალახა მიუსერიის უღელტეხილი, სწორედ ის უღელტეხილი, რომელსაც მგზავრების გამაღიზიანებელი გაუთავებელი ბიძგებით, ქშენითა და გაოცრებით ლახავდა სამი ორთქლმაგალი.

განა მართო ეს უპირატესობა მოწყვა ელექტროფიკაციას! ახლა ორმაგად მცირდება რკინიგზის საწვავი მასალა, წყლის ხარჯი, შემადგენლოვის რემონტის ხარჯები. ყოველწლიურად, მართო სოხუმ-სოჭის უბანზე, 20 ათასი ტონა ქვანახშირი იზოგება. ორი მესამედით მცირდება საორთქლმაგლო ბრიგადების რაოდენობა, მცირდება თვით ორთქლმაგლების რიცხვიც. საკურორტო სეზონის „ცხარე“ დღეებში ისე ხშირად ივლიან ელექტრომემაღენლობები სოჭიდან გავრამში, სოხუმიდან გუდალთში, ვაგროდან ახალ ათონში, როგორც, ვთქვათ, პილიპიდან — რუსთავეში. მგზავრებს აღარ მოუხდებათ შორეული მარშრუტის მატარებელთა საათობით ცდა, აღარ მოუხდებათ ჭვარტლისა და კვამლის ყლაპვა გვირაბებში.

...ხედავთ რა კარგია, როცა ივანე ლაზარაშვილი და მისი მრავალიცხიოვანი ამხანაგები მისამართს იცვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი კეთილი საქმე გაკეთდა და ერთი უბანი ჩვენი მშენებლობისა კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდა. თუ თქვენ მოისურვებთ და მადლობას შეუთვლით ივანე ლაზარაშვილს და მის ამხანაგებს, მისწერეთ ახალ ფართო-ლიანდავთან რკინიგზაზე, რომელიც ზესტაფონიდან ჭიათურამდე გაყვანილი მდინარე ყვირილას ხეობაში, იქაც ძალზე საჭიროა ელექტრომაგლები!



კანკაჩა

მიხეილ ლაქიბანი

მოთხრობა



ახალგაზრდა ადამურს მშვენიერი სატროფო ჰყავდა. ქალიშვილს აიშა ერქვა. ამ გოგონას სილამაზეზე მთელი რაიონი ლაპარაკობდა. მის სიტურფესა და სიმშვენიერზე სოფელში სიმღერებს თხზავდნენ ახალგაზრდები. ადამურის უმცროსი ძმა შახარი უფროს ძმაზე ულამაზო როდი იყო. ადამურივით გამბედავი და მარდი, მოჯირითე და მთელ მხარეში სახელგანთქმულ ჭაბუკად ითვლებოდა. შახარს ოცი წელი შეუსრულდა. ერთი სამწუხარო გრძნობა შეეპარა შახარს გულში. თავის ძმის საცოლე აიშა შეუყვარდა. ადამური რომ არ ყოფილიყო ამ ქვეყანაზე, მაშინ შახარს ვინ შეედრებოდა? ვინ არ იცის, რომ იგი ყველასთვის ხანატრელ საქმროდ ითვლებოდა ამ მხარეში? რას იზამს კაცი? შახარს მისივე ძმა, ტანწერწეტა და ბეჭვანიერი, უმშვენიერესი ვაჟკაცი ადამური გადაუღდა სიყვარულის გზაზე. შახარს მხოლოდ ისღა დარჩენოდა ჩუმად, გულდათუქვით, უიმედო ოხვრით გამოეთქვა თავისი გულისნაღები. ადამურმა კარგად იცოდა, თუ რა ქარიშხალი ტრიალებდა უმცროსი ძმის გულში, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არასოდეს არც უფიქრიათ ამაზე ლაპარაკი. მკაცრი კანონი აქვს მთას. ჭაბუკი კაცი, რომელსაც თავისი ვულის საიდუმლო წამოსცდება, ვაჟკაცად არ ჩაითვლება. ამ წლებში ყარაჩაელებთან ომი იყო

გაჩაღებული. ორივე ძმამ მთელი ღამე მოწინავე სამორიგეო საგუშაგოზე გაატარა.

დილა გათენდა.

გუშაგები სხვებმა შესცალეს და ისინიც დასასვენებლად სახელდახელოდ ამოთხრილ საერთო მიწურისკენ წავიდნენ.

ორივე ძმა მთის ვიწრო ბილიკზე მიდიოდა. მთის დარბაისლური ჩვევით უმცროსი წინ ვერ გადაუსწრებს უფროსს, ამიტომ ადამური წინ მიდიოდა.

მკაცრმა და საშინელმა თავდასხმის სურვილმა შეიპყრო შახარი.

ძმაზე თავდასხმა განიზრახა.

„რა იქნება, ახლა თოფს თუ დაეხსნი? — გაიფიქრა მან. — მხოლოდ ერთი გასროლა და იგი უფსკრულში გადაიჩენება, ვერც ერთი სულიერი ამ ქვეყნად ამ ამბავს ვერ გაიგებს, აიშა კი მე დამჩნება“. ფიქრი და შესრულება ერთი იყო. შახარმა ელვის სისწრაფით გაიძრო ბუდიდან დამბაჩა და ფრთხილად ამართა ჩახმახი.

წყენარად და უდარდელად მიაბიჯებდა ადამური ბილიკზე. უმცროსმა ძმამ მძულვარე თვალები დაუმიზნა მის ბეჭებს.

წუთი და ჩახმახი დაეშვა... საოცარი რამ მოხდა:

სროლის ხმა არ გაისმა, დამბაჩამ უმტყუნა.

ადამურს არაფერი გაუგია, მის ყურამდე მხოლოდ რკინის მსუბუქად ჩხაკუნის ხმამ მიაღწია.

იგი სწრაფად მოტრიალდა. მოტრიალდა და ყველაფერს მიხვდა. ათრთოლებული შახარი საცოდავად მალავდა დამბაჩას ბუდეში. ადამურმა არაფერი შეიმჩნია. იგი დინჯად და წყნარად წავიდა თავისი გზით.

ჩუმად, სიტყვის უთქმელად შევიდნენ ისინი მიწურში. მოშივებული ძმები ხარბად და მადიანად შეუდგნენ ჭამას.

საუხმე დაამთარეს. ახლა დასვენება იყო საჭირო. სანამ დასაძინებლად მიწვებოდა, ადამურმა სამგაგრო ჩანთა გახსნა და იქედან თავის დამბაჩა ამოიღო, წყნარად დააჩერდა ძმას და იარაღი გაუწოდა.

— აიღე, შახარ! ეს საიმედოა! არ გიმტყუნებს!

თარგმნა მამია ასათიანმა

მეცა კახიძე

მე განა მეჭურჭლის გამომწვარ სურასავით

ცარიელი მაქვს გული,

მე ერთი თვალსაცერა ჭაბუკი მიყვარს და

ციცინათელასავით შორიდან ვუვლი.

მე როცა მის თვალებს გარსკვლავებს ვაგულებ,

ლილივით შემწყვდება ცრემლი,

ჩვილის აკვანივით ირწყვავ საგულე, როცა მის გამოჩენას ვილი.

ცასავით ნისლის სედა გულს შემომწოლია,

შენა ხარ ჩემი გულისმცველი.

შენ ზღვა იყავი და მე შენი თოლია, სევდის გზა შემომოკლე...

მე განა მეჭურჭლის გამომწვარ სურასავით

ცარიელი მაქვს გული,

მე ერთი თვალსაცერა ჭაბუკი მიყვარს და

ციცინათელასავით შორიდან ვუვლი.

განა წყარო ვარ

არ გაგაგონებ ურვას და ჩივილს, თუმცა გულს ელვის დაშნა დაჰკარი, წახვედი, როგორც შუადღის ჩრდილი ველარ ვიბოვე შენი გზაკვლი.

შენ მეუბნები: — ვემსგავსო მაისს,

ტურზე მესატოს ღიმილი მთვარის,

განა წყარო ვარ, ხანჯლით გადამჭრა და არაფერი დამეტყოს მაინც.

იბაკლი არამული

ოცნება მთაზე

თუ დავივლიათ მთები ხშირად, გიოცნებით წყლისპირას ბეგრჯერ, — ალბათ ნახავდით ციხეს კივგალთან — ცამდე ამართულ წინაპრის ბეჭებს.

თუ ჩაუარეთ ოდესმე გვერდით არაგვთან ყალყზე შემდგარ კართანას; თუ დააკვირდით პატარა ხერთვის ორი მდინარის შესაყართანა.

მთვარიან ღამით ჭალებში დაღლილთ, თუ შესვენება გისურვებიათ; გაგრილებულხართ არაგვის ტალღით, თან წყაროს წყალიც გისხურებიათ.

თუ დაგინახავთ ქორფა დგნალები, საჩრდილობლად რომ ტოტებს გიხრიან; უფსკრულნი, ღამით რომ ამთქნარებენ და დევნივით დგანან პირლია.

თუ ჭიუხებთან ტყაიის მათართ შეგისვამთ წყალი კლდიდან ნადენი, — აღარ იკითხავთ — ჩემში რად არის მთისადმი ტრფობის ცეცხლი ამდენი.

სათქმელი გულში არ დამარხულა და მიმღერია მეც ჩემებურად; მთებთან, ვით ტოლთან, შევჩერებულვარ, მეც მათი ერთი კალთა მახურავს.

ილია სომცხარია

იქ გუგუნავს

ლექსმა უნდა მაცოცხლოს და ლექსმა უნდა ამაღლეროს, ჰქუხდეს სიტყვა ისე მძლავრად, რომ არასდროს დამაბეროს.

დე, ვილოდე მე ამქვეყნად შენი ეშხით გულდამწვარი, დე, თუ კი გსურს, ვერ ვიხილო მოციმციმე დილის ცვარი.

ო, რამდენჯერ უძილობით გავათენე თეთრად ღამე, სანამ ლექსი ფრთას გაშლიდა — ეპ, ვინ იცის ვით ვეწამე.

იქ გუგუნებს ხალხისათვის შემოქმედის ძლიერის ზარი, სადაც დიდი ალტაცება, სადაც დიდი სევდაც არი.

მაშ რას მომეცემს რას შემამატებს სევდიანი ლექსის წერა, სიცრუეა, რომ ამბობენ არსებობსო ბედისწერა.

მხოლოდ ერთი, ერთი რამე, მკერდში ღვივის ასე მარად, მშობელ მიწის სიყვარული დამჩრავს გულის გასახარად.

იგავნი და ფლანგნი

მხატვარი
ლადო გულიაშვილი

ქონსაწინა გამოსახულება

I. ჯავშნოსანი და გულურა

ერთი ჯავშნოსანი რეიდზე ისვენებდა. მსუბუქ ღელვას აყოლილი გულურა ზედ ეხლებოდა ნაომარ გემს, დაუცხრომლად ებღლაძუნებოდა. ამ ამბავს უცქეროდნენ მოსიერნენი და იცინოდნენ უგუნური გულურას თავხედობის გამო.

„რამ გადაგვრია, ძია კაცო, — გადასახა გზადგაველიშმა კატარღამ გულურას, — ერთი რომ შეგიბეროს თვალსაწიერ გადაღმა გადაგტყორცნის ეს ჯავშნოსანი“.

„ფიქრი არაა, — მიუგო გულურამ, — ვიდრე ეს გემი ჩემზე ხელის ვასვრავ დააპირებდეს, ჯავშნოსანთან მებრძოლს შემარტყმევს ხალხი“.

II. ფლანგი და ლოკოკინა

ერთხელ ლოკოკინამ უთხრა ზღარბს:
„მუდამ მოღუშული რად დადიხარ, ძმაო, ბრწმონიერულს ხმლებად გტყვევია თმები!“

„ეპ, შენ რა გიშავს, თვალწერილავ, ისეთი ლორწოიანი და გასიბული ხარ, ყოველ ნახვრეტში იოლად შეძერები, მე კი ბრძოლით ვიკაფავ ამ ქვეყნად გზას და ამიტომაც ხმლებად მეტყა თმები“.

III. მელა და აქლემი

ღრუბლიან დღეს ერთი მშვიერი მელა ამოცუნცულდა სერზე, საკბილოს ეძებდა ჩირვებში. როცა გადაიდარა და შეციერმა მნათობმა ლანდი დაუგრძელა მას, გული მოიცა და დაიქადა შელოკომ:

თუ სადმე ერთი აქლემი შემხვდა, წამოვაქცევ და ვისაუზმებო.
შესალამოვდა, ლანდი დაჰკარგა სულმოკლემ და გრძელკულამ. ახლა ესლა დარჩა იმედად: გომურებისკენ გაფივლი, ეგებ ვირთხას გადაგაწყდეთ სადმე.

ორღობეში აქლემი მოჰყავდა პატრონს. მელას გაეცინა, დანაქანდი რა გაახსენდა, პაუო შეუძახა მიაქლემემ, აქლემმა წიხლი მიაყოლა და ნეკნის ძვლები ჩაუმტერია ტრახახას.

IV. ქალღი

მამაჩემს ვენახი ჰქონდა მდინარის გადაღმა. როცა ყურძენი მწიფობაში გადავიდა, დამავალა: ძალი გადაიყვანე ვალმა და ვენახში დაბიო.

მთელი ღამე დაუცხრომლად ყეფდა ძალი, დღისით გამჩნედი: ყურძენს იბარავდა ვილაც.

მამამ მიბრძანა: ალბათ, ქურდები შემოგვეჩვიენ და დაბმული ძალი აბა, რას დააკლებსო მათ, აქებდა კიდევაც ჩვენს ფხიზელ მყეფარს.

მამაჩემის ბრძანებით ძალი ავეუვი, გვიანი ღამით მეც თოფიანად დავუდარავდი ქურდებს. მფარიათი ღამე იყო და ვნახე: ძალი შუაგულ ვენახში შედიოდა, ერთს დაიყვებდა, მისწვდებოდა ყურძენს, გადასანსლავდა, ისევ დაიყვებდა...

ამ იგავის მორალი ასეთია: ზოგი კაცი თავათ ჩადის ავკაცობას და თავის დანაშაულის დასაფარავად მამაჩემის ძალივით უყეფს გამოგონილ დამნაშავეს.

V. ბუ და არწივი

ბუმ შეუთვალა არწივის: მოდი დავმზახლდე და ქალ-ვაჟი ვაქორწინოთ.

დიდი ქორწილი გადაიხადა არწივმა, მოიწვია ბორები, ქორები, მიწინიები, კირკიტები, ჩხიკვები, კაჭკაჭები და ჭოტები. სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ ერთმა უსიამო ამბავმა ჩაფარცხა საქმე.

დღისით გამართულ ქორწილში ბუს მართვებ ვედარ დანახა თავისი საქმრო, ხოლო ღამით გადახდილ ნადიმზე სიძე არწივის მოერია ძილი.

VI. ბაგრატი მეფე და მეფისქვილე

ბაგრატი მეფისთვის ერთ დიდმელ გლეხს ამსგავსებდნენ თურმე. ნადიმის დროს ეხუმრებოდნენ კიდევაც ერისთავები მეფეს: ტახტი და გვირგვინი არ წაგართვასო იმ დიდმელმა მეფისქვილემ.

როცა ბაგრატი მეფე იყო თბილისი, მოიხმო მეფისქვილე ისნის სასახლეში და უთხრა:

„გვირგვინში ხომ არ მიპირებ შეცილებას, ძია კაცო, პა?“

„რიპთვის მინდა შენი გვირგვინი, მეფე ბატონო?“

„როგორ თუ რისთვის?“

„შეეკითხა გაციებული მეფე.“

— რიპთინაო და შენ შესაძლოა თავი გადაყოლო მაგ გვირგვინს, მე კი ჩემი დამტყვერული ჩაჩი და ეს გაოხრებული თავი სიკვდილამდის შემარჩებო.

VII. უნებლიე ქურდი

„ომის დროს ყურძნის შესასყიდად მანქანით გავმგზავრე ატენს“, ასე დაიწყო ეს იგავი ერთმა ექიმმა, ჩემმა მეგობარმა. „იმ რაიონში ხანგრძლივად ნაშუშეგარი ვიყავი, კოლმურნებმა შემიცვენეს, უფასოდ მიირთვიო ყურძენი, მე უფასოდ წამოღება ვერ ვიკადრე, შეღამებისას მანქანაში ჩავგვევი გაწვილებული და გორისკენ მიმავალ გზას დავადექი.“

სოფლის ბოლოს ერთი კაცი შემომხვდა. დიდის ამბით მომესალმა და მომიკითხა. ჩემი ჩამოსვლის მიზეზი რა გაიკო, მეუბნება:

ღმერთო მომკალი! ამოტოლა გზა გამოვივლია, ყურძენს როგორ არ გავატანო თბილისში. მეგობრთან ღამეს ჩემი მანქანა მიაყენა ერთ ზვარს, გაალო ჭიშკარი, ვენახში შემიყვანა და კალათები გამივსო. როცა გორს მოვუახლოვდი, დამემშვიდობა და ღამე ნებისა მისურვა.

მეც გამოვეთხოვე, ვენახი ვუქე, მაღლობა მოვასხენე ასეთი საჩუქრისათვის.

„შე რა შუაში ვარ აქ?“ — მომიგო დიმილით.


„როგორ? შენი არ იყო ის ვენახი?“ — შევეკითხე.

„რას ბრძანებ! მე ვინ მომცა ვენახი?“

„აბა ვისი იყო ის ზვარი?“

„არც მე ვიცი, ჩემმა მზემ“. — მომიგო, გადაიხარხარა და ბნელ შუკაში გაუჩინარდა...

ამ იგავის მორალი ასეთია: ყოველი კაცისაგან ნუ მიიღებ პატივისცემას, თორემ უცილოდ ჩირქი მოეცება შენს სახელს.



ამ იგავთა ფაბულა მეტწილად ჩემს მიერ შენათხზია, ხოლო დანარჩენთა, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ფოლკლორიდან მაქვს ნასესხება. კ. გ.

ქვემოთ მხარე



ორი ღებუნი

მობრობა

მხატვარი კ. მახარაძე

1934 წლის თებერვლის ერთ ღამეს, ტელეფონის ხარმა გამაღვიძა:

— ვერა ვარ კარგი მახარობელი, მაგრამ რა გაეწყობა...

— რას მეზობლივები, თქვი, რა მოხდა, — ჩაეძახე და ყურადღება გაავამახვილე. ვიგრძენი, რომ ჩვეულებრივ შემთხვევასთან არ მქონდა საქმე.

— სიონის ტაძარი გაძარცვეს...

— როდის? ვინ?

— ერთი საათის წინ. ბოროტმოქმედი მიიმალენენ, — მიპასუხა მორიგე და კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ყურმილი დაეკვდა, ლოკინიდან სწრაფად გადმოვხტი და შარვალს ვწვდი.

— სიონის ტაძარი! ვინ იცის, რა გაიტაცეს, ხელოვნების რომელი ნიმუში...

ტელეფონი ისევ აწყრივალდა.

— ავტომატანა გამოვიგზავნეთ, — მეუბნებოდა მორიგე და მთხოვდა, შინიდან პირდაპირ ტაძარში მივსულიყავი.

— მსხვერპლი ხომ არ არის?

— ვიღაც ღვთისმსახური ქალი ყოფილა დაშავებული.

— უ ასეა, სასამართლოს ექიმიც გამოვიგზავნეთ, — ვუბრძანე და კედელზე კალენდარს გაეხედე. — 1934 წლის 23 თებერვალი თენდებოდა.

...როცა მანქანიდან გადმოვივი და შეძებარიც გადმოხტა, მაშინ გამახსენდა, რომ ასეთ თოვლქყაში ძალიან ბოროტმოქმედის ცვალის აღება გაუჭირდებოდა.

ტაძრის შესავალთან ბლომად შეგროვილიყო ხალხი. ყველა ცდილობდა შეეხებოდა სალოცავ დარბაზში, რომლის ღია კარებშია, ქიმის ქვედა საფეხურზე შუახნის, ტანმალაი ანაფორიანი მამაკაცი იდგა და ცნობისმოყვარეობა გზას უღობავდა.

რწმუნებულთან და სამეცნიერო ტექნიკური სექტორის ექსპერტთან ერთად ტაძრის შესავალი კარიკენ გავემართე. ძალიან გამყოფთან ერთად მანქანასთან დარჩა.

დარბაზი განათებული იყო. კანკელის შუა კართან კათალიკოსი იდგა. ჩრდილოეთის კედელთან, სკამლოკინზე, ხანძარისთვის შოსახი ქალი იჯდა.

ფერმიხდელი, ზურგით მეორე ქალს მიყრდნობოდა, უფრო ახალგაზრდას, მაგრამ ხანდაზმულივით სახეაფერული. ის განუწყვეტილად ჩურჩულებდა რაღაცას და წამდაუწყებლად პირჯარს იწერდა. ტანმორჩილი მღვდელი შემოგვეგება. ღვთისმსახურს მარბუზე დაყრილი თმა და კოსტად შეკრებილი, მამასავით თეთრი ულგაშები მქონდა. თუმცა სამოც წელს გადაცილებულს ჰგავდა, მაგრამ ფერხორციით საესე მოწითალო სახე და მოუსვენარი ჭროლა თვალები ახალგაზრდული ელფერი ამკობდა.

მღვდელს შეეწერა ბერი მოჰყვებოდა.

შეკლისთანავე კანკელსა და სახატებს შევავლე თვალი. ყველაფერი რიგზე მეჩვენა. გულზე მომეშვა. იქნებ სცადეს გაძარცვა, მაგრამ ვერ მოასწრეს-მეთქი, გაეფიქრე და მღვდელს მივუბრუნდი.

— ჩვენი სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებიდან ვახლავართ...

როგორც მე, ჩემს კოლეგებსაც ქულები მოეხადო და ყველას და ყველაფერს ისე მორიდებულად შეეცქიროდნენ, თითქოს ოპერატიულ საქმეზე კი არა, სალოცავად მოსულანო. ჩვენი ასეთი მოკრძალებით ნასიამოვნები მღვდელი, ისე მოწიწებით გაგვიძღვა სკამლოკინისკენ, თითქოს ღვთისმოსავი სტუმრები ყყოფილიყოთ.

— ახლა ხომ უკეთ ხართ, დაო ანტისა?

ჩვენ რომ მივთხოვოდით, ხანშიშესულმა მონაზონმა წამოვლოდა სცადა, გაიმართა, ერთი კი დაიკენსა, მაგრამ შეეცადა თავი ყოჩაღად დაეჭირა. მღვდელს პასუხად თავი დაუქნია, ნაძალადევად გაუღიმა. ქუჩაში ხმაური მატულობდა. მაღალი

ტანის ანაფორიანი კაცი ძლივს აკავებდა ხალხს. რწმუნებულსა და შეეწერა ბერს ვთხოვე, კარები ჩაეკეტათ. როცა კიბიდან ხალხი გაიკრიფა და ტაძარი ჩარაზეს, მე და ჩემი მსლებლები სკამლოკინთან გრძელ სავარძელზე მოვთავსდით და ფერწასულ მონაზონს ყურადღებით მივაყურდით.

— ესენი მთავრობის ხალხია, დაო, იქნებ უამბო, რაც ნახე, რაც ამ დღით შეგეშთხვა, — უთხრა ტანმორჩილმა მღვდელმა ქალს ისეთი ხმით, როგორც დაზარალებულ ბავშვს მიმართავს ხოლმე მშობელი. მღვდელი იქვე კედელთან ჯორკოზე ჩამოჯდა. მონაზონმა ერთი ორმად ამოიხსრა, თვალები მინება წამით და მერე მიღებული ხმით დაიწყო:

— ამ დღით, როგორც დიდმარხვის პირველ დღეს შეეფერება, ჩვეულებრივად აღრე მოვედი...

— აქვე ცხოვრობს, ამავე ეზოში, სხვა მონაზონებთან ერთად, ესეც ტაძარს უვლის, ალაგებს, ასუფთავებს, — მითხრა ტანმალაომ კაცმა, რომელიც აქამდე კიბეზე ხალხს აკავებდა.

— ის იყო საკურთხეველი დავაღავე და კანკელის დასუფთავებას შევედეთ, როცა ზედაკარზე კაკუნი მომესმა, — ქალმა ხელი კიბისკენ გაიშვირა და განაგრძო: — ხმა არ გავიცი, კაკუნი გამეორდა, მაგრამ ახლა უფრო ხანგრძლივი და ნერვული. კიბე ავირბინე და ვინა ხარ-მეთქი, კვითხე უღიროო ვამს მისულს.

— ვერა მცნობ მონას ღვთისას, ჩემო კეთილო, — მომესმა კარს უკან ქალის ათრთოლებული ხმა. — თუ უფალმა მოწყალებით არ გადმოხმებდა, მზის ამოსვლამდე უნდა აღმოხმდეს ცოდევი სული. ქმარი მიკვდება, დაო, ქმარი, ამქვეყნიური ერთადერთი ნუგეში და სიტკბოება.

— მერე, მე რა შემიძლია, დაო? — ვუპასუხე გულდამწვარმა და კარის ვაღება განვიზრახე, რომ ნუგეში მაინც მეცა. უცნობი მევედრებოდა: — მაღლი ჰქვია, ტაძარში შემიშვი, რომ მაცხოვარს შეგავედლო ჩემი სიცოცხლე, იქნებ არ გამწიროს ყოვლისშემძლემ მე უხედური. — ქალის მწარე ქეთინი მომესმა. გული ამემღვრა, კარი გავაღე. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალი იდგა შავებში. თვალწარმეტყველ ლამაზსა და ეზობი საესეს, თვალზე ცრემლი უბრწყინავდა, შევთვალვარბას თეთრ სახეზე გასაოცრად უხედობდა შავი თავსაბურავი. მაღალ მუხლს, ხუტუჭი თმის ტყვირი უფარავდა. ღმერთო შეგცოდე და ღვთისმშობელს ჰგავდა ის წყვეული. მონუსხულივით გიდექი ერთ ხანს, ხმას არ ვიღებდი. მან ხელი ხელში ჩამიჭრა, წერწებდა ტანის რხევით კიბეზე დაეშვა. ამ ქალის ეზხმა ისე მომეჯადოვა, რომ კარის დაკეტვა არც კი გამხსენებია.

— სად არის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ის არის ყოვლისშემძლე, დილოცა მისი განება, — წაიჩურჩულა და კიბიდან ჩამოსულმა მიხედ-მოიხედა. პასუხი არ გამიცია, საჩქაროდ მივიყვანე მაცხოვრის ხატთან. აი სახე უფლისა-მეთქი, ვუთხარი და განზე დავედეთ: ქალი მუხლებზე დაეცა, ხელაყრობილი სასოებით მიაყურებდა ხატს. ერთ ხანს ბუტბუტებდა რაღაცას, მერე პირქვე დაემხო და აქეთინდა. გული დამეწვა. მეც მუხლი მოვიყარე, შევთხოვე უფალს, ესმინა ვეღვრება მწუხარის, როცა ზურგს უკან რაღაცანი, სუსტი ხმაური მომესმა. მოვიხედე და... — მონაზონმა კარისკენ გაიხედა, მერე შეძრწუნებულმა, სახეზე ისე აიფარა ხელები, თითქოს კიბიდან ვეფხვება უნდა ისკუპოსო. გარინდული ხმას არ იღებდა.

— ჰო, კარგი, დაწყნარდი, შვილო, — ჩაილაპარაკა მღვდელმა.

— ვიღაც ახმაზი კაცი მიახლოვდებოდა, — დაიწყო კიდევ ხნის სიჩუმის შემდეგ ანტისამ. — მეორე კი კარს ჰკეტებდა. იმას, ვინც ჩემსკენ მოდიოდა, შავი, პრილა ლაზადა ეცვა და ასეთივე პრილა

ქული ეხურა. თვალწარბს ისეთი შავი ნიღაბი უფარავდა, როგორც ემშაკებს უკეთით ხოლმე.

ემშაკის სხენებაზე პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო შემინდო, ჩაილაპარაკა და განაგრძო:

— კარგს არაფერს ველოდი, მაგრამ ჩემთან ვის რა საქმე უნდა მქონოდა, არ ვიცოდი ღვთის მადლმა. წასართმევი მე არაფერი მქონდა, ხოლო ისეთი ანტიქრისტი, რომელიც ტაძრიდან რისივე ვატყებამ მოიფიქრებდა, ქვეყანაზე არ მეგულეებოდა.

წამოვხტი და ეზოში გასავალ კარბისკენ გაქცევა დაეპირე, მაგრამ ქალმა, რომელიც პირქვედამხობილი ლოცულობდა, ფეხზე ხელი მტაცა და იატაკზე პირდაპირ გამშხლართა. ერთი შეკვივებულა მოვასწარი, წამოვლოდა ვცაღე, მაგრამ ახმაზი მამაკაცი მაჯალაჯულასავით დამაწვა, ყელში მწვდა.

უცებ ანტისამ შუბლი შეიკრა და თითქო ტყვილმა თავი ახლა გაახსენაო, საყულო შეიხსნა, ჩაშავებული კისერი მოისრისა. ძიებისთვის ამ მნიშვნელოვან სილურჯეს არც კი დაეკვირდი, რომ სალაპარაკოდ განწყობილი მონაზონისთვის საშუალება მიმეცა, ასე დაწერილებით, გასაგებად და თანამიმდევრულად ეამბნა ყველაფერი.

— წინააღმდეგობა უნაყოფო იყო. ბედს დამორჩილებული ვავინაბე, — განაგრძობდა ქალი. — მაგრამ ის წყველი არ მეგებოდა, კისერი ხელი მაგრად ჩამავლო, მახრბობდა, სანამ გონებას დაეკარგავდი, გავიგონე, თუ როგორ მოლოცეს ფარვეზე ხატი. ქალის ხმაზე ჩამესმა: ის რად გინდა, ქვედა ხატი მოხსენიო, აქამდე ქართულად მოუბარმა რუსულად უთხრა ვიღაცას. ამის შემდეგ გონება დაეკარგა და... როცა გონს მოვედი, საკურთხევის ერთ კუთხეში ვეგდე მც ცოდევი და მშა ისაკი წყალს მახსურებდა.

— დაბ, ასე იყო, ახალგაღვიძებულს ქალის შეკვივება შემომხმა, მე ამ ტაძრის სახლში, ერთი პატარა სენაკი მიჭირავს, — მეუბნებოდა შეეწერა ბერი. — ცუდის მომასწავებლად მეჩვენა ეს ხმა, სწრაფად მოვიხურე ანაფორა და ეზოში გამოვიყრიდი. ტაძარში, შეგეწიოთ მაღლი მისი, სინათლე ენთო, რატომღაც შვგ შესვლა ვერ გავებდე. ალბათ, დამიფარა უფალმა და იმ ურწმუნოთ არ შემახედრა. — პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო: — კართან ახლოს დავედეთ, რომელი — ხარ-მეთქი დაეძახე. როცა ტაძრიდან საკვიტო ხმაური მომესმა, ყვირილი მოვრთე, ეზო ფეხზე დაეყენე. სალოცავ დარბაზში არავე დაგვიხვდა. საკურთხევის კუთხეში ცოცხალ-მკვდარი ანტისა ეგლო. როგორც იყო, მოვასულიერეთ, მაგრამ სანამ თქვენ არ მობრძანდით, ხმა ვერ ამოვალბინეთ.

— წაიღეს რანე? — ვიკითხე და მოუთმენლად მივატყვრდი ტანმორჩილ მღვდელს, რომელიც წამოვლოდა და ღინჯი ნაბოჯით სამხრეთის კედლისკენ გაემართა.

— როგორ არა, წაიღეს, — მიპასუხა მღვდელმა ხმადაბლა და სამხრეთ-დასავლეთის ბოძზე მიმოი-თა.

— აი, შეხედეთ, იმ დედაღვთის ხატსა და, — გვეუბნებოდა მღვდელი, — მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს შორის სიონის ღვთისმშობლის ხატი იყო, რომელიც საეპარქია ხატის სახელწოდებით არის ცნობილი.

— მერე? წაიღეს? — აღომხდა ჩემდაუნებურად.

— დაბ, ხომ ზედავთ, იმ ორ ხატს შუა, ცარიელ ადგილს თთხი ნალურსმნალი რომ ატყვია? მართლაც, ორმოციოდე სანტიმეტრის სიგრძის ნახატარზე თთხი ახალი ნალურსმნალი ემჩნეოდა.

— ალბათ, ოქრო-ვერცხლით იყო მოჭედილი, — ჩაილაპარაკა რწმუნებულმა.

— ძვირფასად იყო მოჭედილი, მაგრამ, გარდა ამისა, კი, როგორც ისტორიული განძი, ყურადსაღები იყო. ხატი შეოქმენებულ საუკუნეში ტრან-

სიღვანელიდან საქართველოში ჩამოსვლებით. — მეუბნებოდა მღვდელი და თან ფარვეს თვალს არ ამოვრებდა.

— მეტეჭსმეტე საუკუნე... თუ მათ სიძველე აინტერესებდათ... განა უფრო ძველი ხატი არ არის სიონში?

— რასაკვირველია, არის. აი, თუ გნებავთ, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი მარტყოფისად წოდებული, მეტეჭსე საუკუნეში, ედესიდან მამა ანტონის მიერ მოსვენებული.

— საიდან? — წამოცდა კითხვა ექსპერტს.

— ედესიდან, ეს ქალაქი, ძველი მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა, დღეს ამ ადგილს ურფა ეწოდება და თურქეთში შედის. იმ დროს ამ ქალაქში ბევრი ქართველი მხატვარი იმ ხუროთმოძღვარი ცხოვრობდა თურმე, ერთ მათგანს ეს მისი უსანიშნავი ნახელავი სამშობლოში გამოუშვანია.

— და იმ ცრუმლოცველმა ქალმა ამ ხატზე უთხრა მონაზონს, შემავდრეო, არა? — ვკითხე ექსპერტი ხმით მღვდელს. რწმუნებულმა მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა. მან კარგად იცოდა, თუ რას ვეკითხებოდი ღვთისმსახურს.

— ღიახ, ღიახ, სწორედ ამ ხატს ეძებდა ის წყეული.

მღვდელი ჩაფიქრდა ერთ ხანს, მერე მომბრუნდა და თვალბრუნებით იხედავდა, თითქოს მეუბნებოდა, ჰო, მეც კარგად ვიცი, ახალგაზრდა, რომ იმ ქალს ეს ხატი აინტერესებდა და არა მოტაცებული ღვთისმშობლისათ. გადავწყვიტე, ჯერ ადგილობრივ დათვალიერებას შევდგომოდი და მერე დამეკითხა მონაზონი ანტისა.

მღვდლის თქმით, დარბაზში უცხო არაინ შემოსულა, და იმ ადგილებს, რომელზედაც მძარცველებს შეეძლოთ ფეხი დაეგათ, არაინ გაკარებია. მესიამონა ღვთისმშობურთა ასეთი სიფრთხილე და რწმუნებულს ვუბრძანე, ძალით მოეყვანა. მაძებარმა თოვლ-ყაბაში თუ ვერ იმუშავა, იქნებ, კიბე მაინც აირბინოს და გვიჩვენოს, თუ საით წაივინდნენ მძარცველები-მეთქი, გავიფიქრე.

სანამ რწმუნებული კიბეს აპყებოდა, ვილაყამ კარზე დააკაკუნა. ღია კარებში სისამართლოს ექიმი გამოჩნდა. ის კიბის თავზე შესდგა. დაფეთებულივით მიიხედ-მოიხედა და, როცა დარბაზში დაჭრილ-დასახიჩრებული ვერაინი დიანხა, სიმშვიდე დაუფლავა, კიბეზე წელა დაეშვა. რწმუნებული ძალს შემოჰძღვა. ძლივს აკავებდა მაძებარს გამყოლი. სანამ ძაღლისთვის მოვიცლიდი, ჩემი ყურადღება ერთმა მოყვითალო ფერის თითბრის შანდალმა მიიქცია. ყველა სახატეს ასეთი შანდალი ედგა წინ. იმ ფარვეს, საიდანაც მძარცველებმა საგანელთა ხატი მოგლიჯეს, შანდალი არ ამშვენებდა. ამ სახატედან ორიოდ მეტრის დაშორებით, სამხრეთის კედელთან, ერთი შანდალი განცალკევებით იდგა.

— რატომ დგას ის სასანთლე ხატებისაგან ასე შორს? — ვკითხე მღვდელს, დარწმუნებულმა, რომ ის შანდალი სწორედ იმ ფარვეს ეკუთვნოდა, რომელზედაც ჩვენი გულსისყური იყო მიპყრობილი.

— ეგ შანდალი, იმ წყეულების გადადგმულია, ალბათ, ხატის ჩამოხსნაში უშლიდა ხელს. — მომესმა მონაზონის ხმა.

ექსპერტს ვთხოვე, თითების ანაბეჭდი ეძებნა შანდალზე, ხოლო გამყოლს ვუბრძანე ძალით აემოქმედებინა. „ეძებე!“ მოესმა თუ არა ძაღლს დანიხარა და დაბერილი ნესტოებით დაყნოსა იატაკს, მაგრამ სწრაფ თავი მალა აიღო და დაიფრტუნა. ისევ ეცადა ყნოსვის გამახვილებას, მაგრამ იატაკზე ცხვირის დაკარება ვერ შესძლო. რაღაც უხილავი ცხვირში მხანათივით ეყრებოდა. ძაღლის კარში გაყვანა ვუბრძანე გამყოლს და იატაკს გამადიდებელი შუშით დაეცქერდი. როგორც დარბაზი, ისევე კიბის საფეხურები ბურნუთის მტვრით იყო მოფენილი.

— ჰოო, გამოცდილი ყოფილან, სცოდნიათ, ასეთი საშუალება მეძებარს რომ უვნებელს ხდის, — ჩილაპარაკა ექსპერტმა, რომელიც შანდალს დაყინებით ჩაპკირკიტებდა. საკურთხევლოში შევედი. თვითვე კუნჭულს გულდასმით ვსინჯავდი. იმ კუთხეში, სადაც გულწასული ანტისა იპოვეს, რწმუნებულმა ხალიჩა შეაბრუნა. ჩვენი ყურადღება ქალაღის პატარა ნაჭერმა მიიქცია. ეს იყო თბილისის ტრამვაის სამგზავრო ბილეთი, სერია 11-34 № 249007.

— ვის უნდა დავარდნოდა ეს ბილეთი? — შევეკითხე მღვდელს.

— მე გუშინ ტრამვაით არ მიმგზავრია და, საერთოდ, ბილეთს ჯიბეში არ ვიღებ, — მიპასუხა მღვდელმა.

— არც მე, — ჩილაპარაკა ბერმა.

დარბაზში გამოვედი.

გამოირკვა, რომ არც დანარჩენთ უმგზავრიათ წინადღეს ტრამვაით.

მე ეს ქალაღის საიმედო ნაკუწი სათუთუნეში შევიანხე. ექსპერტი შანდალთან მხრებჩამოყრილი

იდგა და ისეთი ბავშვის სახით გამოიყურებოდა, რომელსაც გალიიდან ჩიტი გაუფრინდა. თუმცა ჩემთვის ნათელი იყო, რომ მან შანდალზე თითების ანაბეჭდები ვერ ნახა, მაინც შევეკითხე:

— ვერაფერი იპოვეთ?

— ხუთივე თითი გარკვევით ატყვია, მაგრამ რად გინდათ, როცა ბოროტმოქმედს რეზინის ხელთათმანი სცმია.

ამ ამბავმა ჩემს გონებაში ისევ ამოტივტივა ის აზრი, რომელმაც მონაზონის მიერ ხელთუქმნელი ხატის ხსენებაზე გამოიღვა: თუ ცრუ მლოცველმა ქალმა ტაძარში შემოსვლისთანავე იესო ქრისტეს ხატი მოიკითხა და მერე მძარცველს სწორედ ეს ხატი მიუთითა, ვფიქრობდი, რომ მათ მისი ოქრო და ვერცხლის მოჭედითაა კი არ აინტერესებდათ, არამედ მხატვრობა, რომელიც ძვირფასი იყო, როგორც სიძველეთა ნიმუში, მაგრამ ჩვენში როგორ შეიძლებოდა ამ ისტორიული იშვიათობის გამოყენება პირადი გამდიდრებისთვის? არ შეიძლებოდა-მეთქი, ვუპასუხე მაშინ ჩემს კითხვას და ეს აზრი ისე სწრაფად ჩაიძირა გონების მიუწვდომელ სიღრმეში, როგორც ამოტივტივდა. ეს ბოროტი ქმედობა იმ ქვეყნიდან მოდის, სადაც ერის ასეთ განძეულზე მონადირენი თავს უშიშრად გრძობენ, — მეუბნებოდა ახლა იღუმალი ხმა.

სასამართლოს ექიმს მონაზონის დალურჯებული კისრის გასინჯვა ვთხოვე.

ჩვენ ისევ გულდასმით დავთვალიერეთ დარბაზი, კიბის საფეხურები, კარების სახელურები, მაგრამ საქმისათვის გამოსადეგი ვერაფერი ვიპოვეთ.

ზედაკარის თუჯის სახელურს ნათითარი აშკარად ემჩნეოდა, მაგრამ რეზინის ხელთათმანი აქაც საიმედოდ იცავდა დამნაშავეთა გამცემ თითების ქარგას.

შეუძლებელია დამნაშავემ მამხილებელი კვალი არ დატოვოს, მაგრამ ამ კვალის მონახვას, დაულაღვი ძებნა, მოთმინება და დაკვირება სჭირიათ, ბევრჯერ უთქვამთ ჩემზე გამოცდილთ, როცა ამ საქმეში ვიგეშებოდი და მეც ამ ფრანკს სწორად ვუმოვრებდი ჩემს ხელქვეითებს. დღეს რატომღაც განსაკუთრებით ეს მცნება არ მასვენებდა და ტაძარში გაუსინჯავს არაფერს ვტოვებდი. მოუთმენლად ვეძებდი კიდევ რაღაც ახალს. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად საიმედო არაფერი ჩანდა, როგორც ყოველთვის, ახლაც მჯეროდა, რომ დამნაშავეებიც ვიმავე კვლად ახლოს ვიყავი. მჯეროდა იმიტომ, რომ გული, იმედით მამხნევებდა. მე გამარჯვება მჯეროდა და, ამის დამადასტურე-



ბული გარემოების დაწვრილებით გარკვეულ გავრ-
ბოდი, მშენიანდა, იმედით სახე სულიერი განწყო-
ბილება ხელიდან არ გამსხტომოდა. არც კი მინ-
დოდა მეფიქრბ ტრამვაის ბილეთზე. ან რა საფიქ-
რელი იყო? ვინ იცის, უთენიაზე, ტრამვაის იმ
ვაგონს, რომელშიც ეს ბილეთი გაიყიდა (თუ ის
მართლა ბოროტმოქმედ დაუყარდათ), რამდენი
მუშა-მოსამსახურე, ანდა აბანოში მიმავალი მგზავ-
რი მიყვდა. და ახლა ვის შეუძლია ვითი-
ხრას, იმ ხალხში ვინ იყო მძარცველი, ან ვის რა
ჭკონდა გულში ვინ სად, რა განზრახვით მიდი-
ოდა.

ექიმი რატომღაც დიდხანს სინჯავდა მონაზონს.
ის დიდი მონდომებით აბრუნებდა მკენესარე ქალს
და გულდასმით აკვირდებოდა მის კეფასა და
კისერს.

მან ექსპერტი იხმო და, მასთან ერთად, კიდევ
დიდხანს სინჯავდა დაზარალებულს.

— რას ამბობს კისრის სილურჯე? — ვკითხე
ექიმს და მივუახლოვდი.

— აქაც რეზინის ხელთათმანები გვიღობავს გზას,
მაგრამ ერთ საინტერესო დეტალს მაინც მივაგე-
ნით, — მიპასუხა ექიმმა და კმაყოფილი ღიმილით
გაღმომხედა.

— რა დეტალი? — ვკითხე და სიტყვა „საინ-
ტერესო“ გულში სითბო ჩამიღვარა.

— ერთი ბოროტმოქმედთაგანი ცაცია და ამავე
დროს მარცხენა ხელზე შუა თითი აკლია, — მიპა-
სუხა ექსპერტმა დამაჯერებელი ხმით და წამომგე-
დარ მონაზონს მიუბრუნდა. — აი, შეხედეთ, —
მორჩილებით მოჩერებულ ქალს თავი აუწია, — რო-
გორც ხედავთ, ყელის მარცხენა მხარე უფრო ჩა-
შვებულია, ვიდრე მარჯვენა და თითების სისხლ-
ნაკლები ანაბეჭდი სრულყოფილია და გამოსახული.
ცერის ნაჭდევიც კისრის მარცხენა მხარეზე მოჩანს
უფრო გარკვევით. ცხადია, მძარცველმა ქალს კი-
სერში უკიდრან ჩაელო ხელი და, მამასადავ, კის-
რის მარცხენა მხარეზე თითების ანაბეჭდი ბოროტ-
მოქმედის მარცხენა ხელისაა. — ექსპერტმა მონა-
ზონს კისერი გაუნათა და განაგრძო: — თუ კი
ბოროტმოქმედი მარცხენა ხელს უფრო ღონიერად
უჭერს, ვიდრე მარჯვენას, ეს იმას ნიშნავს, რომ
ის ცაციაა. ეს ერთი გარემოებაა. ახლა გთხოვთ
თითების რაოდენობას დააკვირდეთ, — ექსპერტს
სულმოდურად უსმენდა ყველა და მისი ლოგი-
კური მსჯელობით კმაყოფილი სიამოვნებით ილი-
მებოდნენ.

მე მონაზონის ყელისთვის თვალი არ მომიშორე-
ბია ერთ ხანს და გარკვევით დავინახე მის მარცხენა
ნაწილზე სამი თითის ანაბეჭდი, გამძლარ წერტილ-
ლასაგით რომ იყო მიმჯდარი. კისერზე ცერის გა-
მოსახულება საჩვენებელი მოსდევდა, ხოლო მომ-
დევნო შუათითის ადგილი ცარიელი იყო, — რის
შემდეგ არათითისა და ნეკის გამოსახულებას თავ-
თავისი ადგილი ეჭირა. ამრიგად, გამოირკვა, რომ
ის, ვინც ჩვენ გვაინტერესებდა, ცაცია იყო და
მარცხენა ხელზე შუა თითი აკლდა.

II.

კარგა გათენებულყოფი, როცა განყოფილებაში
დაებრუნდით. უფროსის სახელზე შედგენილი მოხ-
სენებითი ბარათი რწმუნებულს დაუტოვებ და სრულ-
ცხრა საათზე განყოფილების შენობიდან გავედი.
ტრამვაის სამმართველოში მიმეჩქაროდა. ერთი
წუთითაც არ შემეძლო მოსვენება, ვიდრე არ
დავადგენდი, თუ როდის და რომელ ვაგონზე გაი-
ყიდა ტაძრის საკურთხეველოში ნაპოვნი ბილეთი.

სამმართველოში მილიციის ყოფილი მუშაკი დამხე-
და, საქმის ვითარება ინტერესით მოისმინა და ისე
ჩქარა გავიდა ოთახიდან, რომ არც კი უთქვამს, რო-
დის დაბრუნდებოდა.

მთელი საათი მოლოდინში გავატარე. ბოლოს,
როგორც იყო, კარები გაიღო და უფროსთან ერთად,
შუახნის მამაკაცი გამიჩინა. უცნობს ფართო

ქამარზე ბილეთებითა და ფულით სავსე ჩანთა
ეკლდა.

— აი ესეც, — შემოსვლისთანავე წამოიძახა მი-
ლიციის ყოფილმა მუშაკმა და სკამზე მოწყვეტით
დაეშვა. მერე ისეთი კმაყოფილებით შემომხედა,
თითქოს მოწმე კი არა, გათოკილი დამნაშავე მოიყ-
ვანაო.

მივხედი, რომ უცნობი სწორედ იმ ვაგონის კონ-
დუქტორი იყო, რომელიც მე მაინტერესებდა.

უფროსმა ჯერ კონდუქტორს სავარძელზე მიუთითა
და მერე მე მომიბრუნდა.

— ის ბილეთი პირველ ვაგონზე გაყიდულა ამ
დღით. სწორედ რეინიზის სადგურსა და თავის-
უფლების მოედანს შორის მოძრავ ტრამვაიაში. ამ
მარშრუტით შექმლით მათ ვამგზავრება. ისინი,
ალბათ, ტრამვაიდან მოედანზე ჩამოვიდნენ და მერე
ფეხით შექმლით იქამდე მისვლა, — მან თვალები
ემშაკურად მოჭუტა და გაიღიმა.

— შექმლით და, ალბათ, ასეც მოხდა. — მივუგე
მისი დანადგენით კმაყოფილმა და გაურკვეველი
გამომეტყველებით მოჭურებულ კონდუქტორს შეე-
ხედე. ის ფართო, ჭკვიანურ თვალებს არ ახამამე-
ზდა და ისე შემომტყუროდა, თითქოს ხმის ამოდე-
ბის უეჩინაო... — ალბათ, იცის ამხანაგმა საქმის
შინაარსი, არა?

— არა, არაფერი იცის, მე აქ, ჩვენთან დავადგი-
ნე თუ ვისზე ირიცხებოდა ის რულონი, რომლიდა-
ნაც შოიხა ჩვენთვის საინტერესო ბილეთი და მე-
რე... ეს ამხანაგი — მან უცნობზე მიმითითა და
განაგრძო, — იმ ბილეთის გამყიდველი კონდუქტო-
რი ჭკონიდან მოვხსენი. აწი თქვენ იცით, იმუსაი-
ფეთ, — ის წამოგა, თვალი ჩამიკრა და ოთახიდან
გავიდა.

კონდუქტორმა ახლა ყურადღება უფრო მეტად
გამახებდა და დამაბულმა, რადაკის თქმა სცადა,
მაგრამ თითქოს თავისი ხმის გაგონების შეეშინდაო,
გარეშდა და ყაყაროსავით გაწითლებული ყურები და
ქვეშ მოისრისა.

— შეგაწუხებ, მაგრამ ჩვენი საქმე ისეთია, რომ
გადაღებას ვერ იტანს და სწორედ ამიტომ დავეს-
ხით თავს, — ვუთხარი მობოღიშების კილოთი და
მის შემოვთებულ მხერას შევიდი ღიმილი შეე-
ბეძე.

კონდუქტორმა სული მოითქვა, ნაძალადეგად
გაიღიმა.

— მე რა! მიბრძანეთ, ბატონო და თუ რამეში
გამოგადგებით... — ამხელ-დამხელა, მერე როგორც
იყო, გაბედა შეკითხვა: — თქვენ ვინ... საიდან
ბრძანდებით?

— მე სისხლის სამართლის სამმართველოში
განყოფილებიდან ვახლავართ — თითქოს სხვათა შორის ვუ-
ბასუსხე და სქელ მუყაოზე დაკრული ბილეთი გავუ-
წოდე. — მაშ, ეს ბილეთი თქვენ გაყიდეთ, არა? —
მან ბილეთს დახედა, გრძლად დაკვირვით ქალადი
ამოიღო ჩანთიდან, დაატყურა ერთ ხანს და მიპა-
სუხა:

— დიას, ეს ნომერი ჩემზე ირიცხება, მე ვაგვიდე.
სწორედ პირველ ვაგონზე, — ახლა კონდუქტორი
თავს უფრო მშვიდად გრძობდა და ფერზე მოსულს,
თვალში ცნობისმოყვარეობის სხივი უცმციმებდა.

— კეთილი, ახლა ეს მიბრძანეთ, — პაპიროსი
მიეაწოდე, — რომელ საათზე გავიდა პარკიდან
თქვენი ვაგონი?

— ოთხ საათზე, — მიპასუხა თამამად და პაპი-
როსი აიღო.

— და ამ დროს, უთენია, ალბათ, ხალხი ცოტაა.

— ზოგჯერ ცოტაა.

— დღეს?

— ცოტა იყო.

— კეთილი. — თუმცა არადიდმნიშვნელოვან,
მაგრამ მაინც საყურადღებო კითხვაზე კონდუქტო-
რის დადებითმა პასუხმა გამათამაშა — იქნებ,
პირველ ვაგონზე წამოსულ მგზავრებიდან ვინმეს
სახე დავამახსოვრდათ, ან ჩაცმულობა, ან განსა-
კუთრებული ნიშანი, — ვკითხე
ყოველგვარი მორიდების გა-
რეშე.

კონდუქტორი ჩაფიქრდა
ერთ ხანს, მერე შუბლი შეიკ-
რა და დინჯად მიპასუხა:

— რომ ვიცოდე, ვის
ეძებთ... ქალს თუ მამაკაცს,
როგორი შესახედავია, იქნებ
გამხსენებოდა, მაგრამ — მან
შუბლი გაიხსნა, მორიდებუ-
ლად შემომხედა, გაიღიმა, —
ალბათ, საიდუმლოა და ვერ
მეტყვი. — შეიმშუშნა, კი-
დევ რაღაც უნდოდა ეთქვა,
მაგრამ არ დაეცალა:

— ან, იქნებ, ვინმე ნაც-
ნობი შემოვიდა ვაგონში,
რომელიც თავისუფლების
მოედანზე მიგვყავთ, — მე
მას თვალში ჩავენდე და
დავინახე, აშკარად დავი-

ნახე, მის თვალში სიხარულის ნაპერწკალმა რომ
გაივლია.

— ჰო, დიას, მოგახსენო, — კონდუქტორმა ჯერს
ახედა, ცალი თვალი მოჭუტა და წამით გაიჩინა,
მერე თავისუფლად ამოისუნთქა და განაგრძო —
მანსოფს, კარგად მახსოვს, — თვალსუფლებას შეიღ-
ნამდე ერთი ქალი და ოთხი მამაკაცი რომ მიმგე-
ქალს ხავერდისებური ნაქოვი, შავი ჯერის ქალტო
ცევა და თეთრი თავშალი ესურა.

— ქალი, თეთრი თავშალით, — ჩავილაპარაკე
ჩემთვის.

— დიას, თეთრი თავშალი.

— იქნებ, მამაკაცი იყო და არა ქალი?

— აქი მოგახსენეთ, კიდევ ოთხი მამაკაცი იყო-
მეთქი, მაგრამ ნამდვილად, ქალიც მოგვყვა ბოლო-
მდე. ლამაზი, ეშხით სავსე იყო. არ შეიძლება
ისეთი ქალი ნახო კაცმა და არ დაგამახსოვრდეს.
ლაშაზი, ეშხით სავსე — ანტისაც ასე ამბობდა.
შავი პალტო, ესეც ემთხვეოდა მონაზონის ჩვენ-
ბას, მაგრამ თეთრი თავშალი? იქნებ თეთრი თავ-
შალის ქვეშ მალავდა შავ თავსაბურავს — წინდა-
ხედული ბოროტმოქმედი სწორედ ისე მოიქცეოდა.
ვიფიქრე და ისევ კონდუქტორს მივუბრუნ-
დი.

— მამაკაცებზე რას იტყვი?

— ერთი მათგანი მთავრობის სახლთან ამოვიდა,
მოედანზე არ ჩამოსულა, რეინიზის სადგურამდე
გამოგვყვა.

— დანარჩენები? — ვკითხე და გავიჩინე.

— დანარჩენები ჩამოვიდნენ და...

— საით წავიდნენ?

— პუშკინის ქუჩა გადაჭრეს და მერე... არ და-
კვირვებია, აბა, რა ვიცოდი, თორემ...

— სად ამოვიდნენ, თუ გახსოვთ?

— პუშკინისა და კორესის ქუჩის კუთხეში.

— ქალი და სამი მამაკაცი ერთად ამოვიდნენ
არა?

— დიას, თუმცა ერთად ამოვიდნენ, მაგრამ ცალ-
ცალკე დასხდნენ და ერთმანეთისთვის ხმა არ
გაუციათ.

საამო სითბო მეღვრებოდა უჩვეულოდ ახმაურე-
ბულ გულში. ისინი არიან, სწორედ ისინი. ერთად
შემოვიდნენ ვაგონში, ერთად ჩამოვიდნენ, მაგრამ
ერთმანეთს არ დალაპარაკებია. აუცილებლად ერთ
საქმეზე მიდიოდნენ, მაგრამ ფრთხილობდნენ, ინი-
ლებოდნენ, — მეუბნებოდა ხმა იღვშალი.

— იქნებ, რომელიმე მათგანის განსაკუთრებული
ნიშანი დავამახსოვრდა?

— ერთი მათგანი მინახავს, თქვენც ვინახავთ,
ალბათ, ცირკში. ბოშათა გულში, ზორბა ტანის
მამაკაცი, რომ ცეკვავს და მღერის, ხუტუტა თმა
წარბებამდე რომ აყრია.

— ვიცო, ვიცო, როგორ არ ვიცი! — წამოვიძახე
ჩემდაუნებურად, თუმცა ბოშათა ეს გუნდი არ
მენახა და ამ სეზონზე ცირკში არ ვყოფილვარ.

— ჰოდა, ერთი მათგანი სწორედ ის იყო. თავი-
დანვე მე მისთვის ყურადღება არ მიმიტყვივა, მაგ-
რამ, როცა ბილეთის ფულის ამოსაღებად პალტოს
კალთა გადაიწია და ხელი იხუჯაის ჯიბეში ჩაიყო,
მამინდ დავაკვირდი და...

— რატომ მამინდ?

— ჩემი ყურადღება პალტოს შიდაპირმა მიიქ-
ცია. — გარედან ის ჩვეულებრივი პალტო იყო, მაგ-
რამ სარჩული საწივმარი წამოსახამივით შავად
პრიალებდა. — გენაწყლიანებულმა კონდუქტორმა
პაპიროსი გააბოლა, — ჰოდა, სწორედ ამიტომ და-
ვაკვირდი იმ მომდერალ ბოშას, ერთ ხანს ვი-
ფიქრე — უცხოელია-მეთქი, მაგრამ, როცა ხუტუტ
თმებს მოკარი თვალი, ვიცანი, ნამდვილად ვი-
ცანი.


— მაგ ბოშას მივ ვიცნობ, ის ახმახი არ მაინტე-
რესებს, — წამოვიძახე და წამოვიწიე, მაგრამ თავი
შევიკავე, ვაჩერდი. კონდუქტორი რომ დამკვირ-
ვებოდა, ჩემს თვალში რომ კარგად ჩაეხედა, ალ-
ბათ, მიხედებოდა. მისი მონაყოლოთი აღერთოვანე-
ბული რომ ემოუსვენრობდა. ვფრთხილობდი, მეტა-
დრე იმითომ, რომ ამ მოწმის ჭკვიანურ თვალებსა
და წყლიან ენას შორის სახიფათო სხვაობა დავი-
ნახე.


დიას, ასეთ ენამრავალს შექმლი ამ აღმოჩენით
დაეტრახება და... ორპირიანი პალტო! შავად პრია-
ლა ერთი პირით! ტაძარში შესვლის წინ პალტოს
შებრუნება პრიალა პირით! ახმახი ტანი! ქალი
შავებში! პუშკინის ქუჩა გადაჭრეს! სამი მამაკაცი.
ასეც უნდა ყოფილიყო, როცა ორნი ტაძარში იყვნენ
ერთი გარეთ უნდა მდგარიყო.

— არ მაინტერესებს იმითომ, რომ — ვუთხარი
კონდუქტორს, როცა მის სახეზე უკმაყოფილება
შეენიშნე, — ისინი, ვისაც მე ვეძებ, ორნი იყვნენ,
ქალი არ ახლდათ, ამავე დროს სულ სხვა ჩაცმუ-
ლობისა და გარეგნობისა იყვნენ. გარდა ამისა,
როგორც თქვენ ბრძანეთ, ისინი ერთმანეთს არც კი
იცნობდნენ.

— მართალია, ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.



— მამასადავ, ტყუილბრალოდ შეგაწუხებთ. —
წამოვდექი, მეჩქარებოდა, დრო ძვირად მიღირდა,
ცხელ კვალს უნდა გავყოლოდი. კონდუქტორიც





ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობარი
ჯეოვალ მონაწილე







სამხატვრო აკადემიის სტუ-
დენტებმა ჯემალ ლოლუამ და
თენგიზ მირზაშვილმა იმო-
გზაურეს მთა რ თუშეთში.
ისინი ახლო გაეცნენ ხაღ-
ხის ყოფა-ცხოვრებასა და
თუშეთის ღამაზ ბუნებას.
ახადგაზრდა მხატვრებმა თა-
ვიანთ აღბომებში ჩახატეს
მრავალი ჟანრული სცენა და
ბუნების სურათი. ვებეჭდავთ
ამ აღბომებიდან რამდენიმე
ნიმუშს






გეორგიული ენციკლოპედია
თბილისი





ქართული
ბიბლიოთეკა

მხატვარი
ჯემალ ლოლაე



წამოღდა და რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ არ დაეცა, ხელი ჩამოართვი, მშვიდობით ყოფნა ვუსურვე და ტელეფონის ყურმილი ავიღე. ის უკმაყოფილოდ შეიშმუნა და კარისკენ გაემართა.

III.

განყოფილებაში მისვლისთანავე სამმართველოს უფროსის მოადგილემ გამომიძახა.

მე და ის ბევრი სისხლიანი ბოროტმოქმედების მოწმე ვყოფილვართ, მაგრამ ეს ბუნებით მშვიდი კაცი ასე ალღევებული ჯერ არ მინახა.

— სად იყავით? — შესვლისთანავე მკითხა მკვახედ და ისე მომაჩერდა, თითქოს ტაძრის გაძარცვის მონაწილე ვყოფილიყავ. ასეთ მომართვას შეუჩვეველი კარებთან უხმოდ შევდექი. ალბათ, სახეზე გაცივრება და უკმაყოფილება გამოიხატა.

— სამჯერ დამირეკეს ცაკიდან, თავმჯდომარე გვეძახის, ხატის გატაცებაზე მასალებს თხოვლობს. იმ დღეებში გულთმისნები ვგონივართ, ჯერ რა მასალა უნდა გვეკონდეს, არ ვიცი, ღმერთმანი...

— ალმაცერად ვადმოხმობ და კარებთან უშბლ-შერული რომ დამინახა, შეიშმუნა, მაღალ უშბლ-ზე და ხუჭუჭა თმებზე ხელი გადაისვა: — მე, მარტო, თავმჯდომარესთან, როცა საქმის კურსში თქვენა ხართ... არ შემეძლო წასვლა, ისინი კი არ მასვენებენ, წამალუწუმ რეკავენ. — ხელები გაასავსა. უსიტყვოდ მაგრძობინა, რომ „სად იყავით“, უნებურად წამოსცდა. როცა მის მაგიდას, უშბლგახსნილი მივუახლოვდი, ტანმალალ ვაკაცს ლამაზ თვალბეჭდში კმაყოფილების შუქი ჩაუღვია, ოღონდ გაღიმებულმა ხელი ასწრა და მშვიდად მითხრა:

— ჯერ არაფრის მოსმენა არ მინდა. ახლავე ჩაირბინეთ სადღაქოში, პირი მოიპარსეთ, ჩემებში გააწმენდინეთ და მოდით. უნდა წავიდეთ.

— სად?

— აკი გითხარით, ცაკში თავმჯდომარე გვეძახის-მეთქი!

...გზაში ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე უფროსის კონდუქტორთან შეხვედრის შესახებ.

მას ერთ ხანს ხმა არ ამოუღია, მერე სიხარულით დამკრა ხელი ბეჭზე და გამარჯვება მომილოცა.

— ეჰ, რა დროს გვეძახიან, — წამომიძახა მან, — ახლა წუთსაც მნიშვნელობა აქვს. ხატი თბილისიდან არ უნდა გავიდეს, თორემ, მერე...

— ერთი წუთიც არ იკარგება უქმად, ჩვენი ბიჭები ბოშებს თავმჯდომარეული ეძებენ, — ვუპასუხე და მესიამოვნა, მის სიხარულით განათებულ სახეს რომ თვალი შევავლე.

...უშბლშერული თავმჯდომარე საწერ მაგიდასთან იდგა და ჩვენსკენ იცქირებოდა. როგორც კი ზღრუბლს გადავალავეთ, უხმოდ მოგვესალმა და თავიდან ფეხებამდე შეგვათვლიერა. ხელი ჩამოგვართვა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა. მერე გვეინახა დაეხმებოდა. როცა რბილ საყარძელში მოვთავსდით, ფანჯარასთან მივიდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არ არის კარგი, საწყენია, მეტად საწყენი საქმეა. — ისე შემობრუნდა, თითქოს რაღაც გაბანსენდა, — განა მე იმიტომ დავიძახებ, რომ ძებნის საქმეში რამე გასწავლოთ... — შევერცხილ ვერზე ხელი ნერვულად ჩამოსვა, — როგორც კი ეს შემთხვევა მაყინობს, ერთ ამხანაგს დავუკავშირდით, რომელიც ძებნის საქმეში კარგად ერკვევა და, იცით, რა მიიხარა? — თავი მწარედ გაიქნია, გესლიანად გაიღიმა. — განაგრძობ, — ახა რა საჭიროა ჩემი ჩარევა, მითხრა, თუ მონახა, ხომ კარგი, თუ არა და ხატებსა და მღვდლის ანაფორებზე განგაშს ხომ არ ავტყავთ. — მიიღრულა, კუთხისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა, მრგვალ მაგიდასთან შეჩერდა, ჭიქაში წყალი დაისხა, მაგრამ არ დალია. ისევ ფანჯარას მიადგა. — იქნებ, სამძებრო ორგანოშიც ასე ზერულად ეკიდებიან ამ შემთხვევას და ბოროტმოქმედებს ისე დაუწყაინ ძებნა, როგორც ქურდბაცაცას, რომელმაც მერტვე ქალს ნავაჭრი ფული წაართვა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო თავმჯდომარე! — ჩაუროთ სიტყვა უფროსმა და შეიშმუნა.

— ნუ გეწყენებათ, მაგრამ რატომღაც ასეთი ეჭვი დამებოდა, — ისე გაიღიმა, თითქოს ესამოვნაო ჩემი უფროსის გაკვირება და საწერ მაგიდას მიუჯდა. — მე კი, უნდა გითხრათ, რომ ამ შემთხვევამ დიდად დამაინტერესა. თქვენ, ალბათ, კარგად იცით, თუ როგორ უფლის და იცავს საბჭოთა მთავრობა ისტორიულ სიძველეთა ნიმუშებს. თუმცა რამდენადაც მახსოვს, მოტაცებული ხატი შედარებით ახალი უნდა იყოს, ორი თუ სამი საუკუნის წინ ნაკეთები, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ ხატის გვერდით შექმნილი საუკუნის ძეგლი — მაცხოვრის ხატი ეკიდა და მძარცველებს მისი გატაცება ნდომებია.

— ჩვენც ასე ვფიქრობთ, — ჩავილაპარაკე ოღონდ გასაჯონი ხმით.

— დიას, თქვენი მოხსენებით ბარათის შესახებ ტელეფონით მელაპარაკენ და მეც, სწორედ, აქედან გამომდინარე მოგახსენებთ, — მიასუსხა თავმჯდომარემ და რატომღაც ცნობისმოყვარეობით დამაცქერდა, — ჩემი აზრით, თქვენ მართალი ხართ.



ისინი ოქროსა და ვერცხლს არ ეძებდნენ სიონში.

უფროსს გადავხედე. ის, თუმცა კმაყოფილი სახით მისჩერებოდა თავმჯდომარეს, მაგრამ, ეტყობოდა, მოუთმენლად ელოდა შემთხვევას, ეთქვა ახალი ამბავი ტრამვაის ბოლეთის შესახებ.

— ერთი სიტყვით, — განაგრძობდა თავმჯდომარე, — თქვენ ჩემი სწავლება არ გჭირიათ, მაგრამ მთელი თქვენი ძალები, საუკეთესო ოპერატიული მსუშვეები, ყოველგვარი დავალებებისაგან უნდა განათავისუფლოთ და ამ საქმეზე უნდა ამუშაოთ, ხატი არ უნდა დაიკარგოს, იცოდეთ.

თავმჯდომარე პასუხს ელოდა, მაგრამ უფროსმა სირუმი ამჯობინა რატომღაც.

— გაკვირდებით? ასეთი გადაუდებელი საქმე კიდევ ბევრი გაქვთ?

— არა, მაგრამ ასეთი ღონისძიების მიღება არ დაგვიკრძალავს, ამხანაგო თავმჯდომარე, — უპასუხა უფროსმა.

— რატომ?

უფროსი წელიწადს გასწორდა, ხმა უფრო აიმაღლა: — მას შემდეგ, რაც ტელეფონით გელაპარაკეთ, ახალი ვითარება შეიქმნა. ნამდვილად ახალი, სასიხარულო. ვფიქრობთ, რომ საღამომდე ყველაფერი ნათელი გახდება. ერთი ბოროტმოქმედთაგანი ჩვენთვის უკვე ცნობილია.

თავმჯდომარე წამოღდა, ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა.

— ამისხენით, რა ვითარებაა ასეთი? — ჩვენს წინ საყარძელში ჩაჯდა.

უფროსმა დაწვრილებით უამბო ის, რაც გზაში ჩემგან მოისმინა. მან თავისი მჭიდრობტყელობით ისე გაამდიდრა და შეალამაზა ჩატარებული და მისალბეი ღონისძიებანი, რომ თავმჯდომარეს თვალე-ბი სიამოვნებით გაუბრწყინდა.

— თუ ეს ასეა, არაფერია საფიქრალი, — წამოღდა, ხელში ჯიბეში ჩაიწყო, თვალე-ბი წამოღდა ჩემი ეჭვი და იცით რა ეჭვი? — მრგვალ მაგიდასთან მივიდა, ჭიქიდან წყალი მოსვა და ისევ ჩვენთან დაჯდა — შარშანწინ, შემოდგომაზე, მოსკოვში ყოფნის დროს, ჩვენი წარმომადგენლობაში მითხრეს, რომ ვიღაც ფრანგ მკვლევარს, რომელიც ჩვენი ქვეყნის კულტურის ძეგლებთან და საკულტო მხატვრობით არის დაინტერესებული, ჩემი ნახვა უნდოდა. მე, რასაკვირველია, მიღებაზე თანხმობა განვცხადე და ეს ჩინა, ხანდაზმული კაცი, დანიშნულ დროზე წარმომადგენლობაში დამიხვდა. განათლებული და თავისი საქმის მცოდნე კაცის შთაბეჭდილება დატოვა მან ჩემზე.

დიდხანს ვიმუსაუვრთ. ფრანგი სხვა მრავალი ქვეყნის არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლებთან ერთად, რუსული და ქართული კულტურის სიძველეებსაც შეეხა. თითქმის უკლებლივ ჩამოთვალა რუსული მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნავი ქმნილებანი და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა მათი წარმოშობის სოციალური ბუნება. დიდხანს ილაპარაკა, აგრეთვე, საუკუნეებით შექმნილ, ყველა ერების კულტურის საგანძურთა მსოფლიო არენაზე გამოტანის აუცილებლობის შესახებ. ბოლოს, საქართველოს ისტორიაზე შეჩერდა. ამ უცხოელმა ჩვენი ქვეყნის წარსულის ისეთი ცოდნა გამოამტკიცა, რომ ერთ ხანს მის უცხოელობაზე ეჭვიც კი შეგებარა.

ჩვენი ფრანგ მკვლევართა დიდი ნაწილის გულისხური განსაკუთრებით საქართველოს სიძველეთა შესწავლისკენა მიმართული, — მეუბნებოდა ის. — იმიტომ, რომ ეს უძველესი ერი არაჩვეულებრივად მდიდარია, როგორც საკულტო ხუროთმოძღვრული, ისევე სამშენებლო ხელოვნების ძეგლებით.

მან სვეტიცხოვლის, ბაგრატიის, გელათისა და სხვა

უძველესი დროის ნაგებობებზე ილაპარაკა და ბოლოს სიონის ტაძარზე შეჩერდა. ამ უცხოელს ისიც კი სცოდნია, სიონის პირველი ტაძრის აშენება სამეფო ტახტის მცვეთიდან თბილისში გადმოტანასთან რომ იყო დაკავშირებული. იცოდა — ეს ტაძარი ვახტანგ გორგასალის დროს, მესხეთე საუკუნის პირველ ნახევარში რომ აუშენებიათ. გასაოცარი სიზუსტით მიაზო ამ კაცმა, თუ რომელ წელს რომელმა დამაყრობმა ააოხრა თბილისი და მასთან ერთად ეს ტაძარიც. მერე მან სიონის ღირსშესანიშნავ ძეგლებზე ილაპარაკა. ბოლოს ერთ ხატს შეეხო და ის ქრისტიანული საკულტო ძეგლის უბრწყინვალეს ნიმუშად მიიჩნია. — თავმჯდომარემ თვალე-ბი ჭერს მიაპყრო, ჩაიქიდა, უშბლ-შერული, ერთ ხანს არ განძრეულა, მერე ისევ მოგვიბრუნდა და განაგრძო, — დიას, მახსოვს ნამდვილად მახსოვს, ჩემს შიგნითაა, თუ რომელ ხატზე იყო ლაპარაკი, მან მიაპასუხა — ეს ხატი, მარტყოფის მაცხოვრის, მეექვსე საუკუნის ხატი არის.

უფროსმა მრავალმნიშვნელოვნად გაღმომხედა. მის თვალე-ბი ნათლად დავინახე, რომ ამ ფრანგსაც კი პირს ხედავდა. „იქნებ ეს ბოროტი ქმედობა იმ ქვეყნიდან მოდის, სადაც ერის ასეთი განძეულზე მონადირენი თავს უშიშრად გრძობენ“, — კვლავ ჩამახა იდუმალია ხმამ და სახეზე სიამოვნების ალმური მომეღო.

— გარდა ამ ხატისა, მის კიდევ ბევრ სხვა ძვირფას ძეგლზე მელაპარაკა, რომლებსაც თქვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ბოლოს მან ქართული კულტურის ძეგლების დათვლიერებისა და გამოკვლევის ნებართვა მოთხოვა. მე, რასაკვირველია, თანხმობა მივეცი და დამხარებაც აღვუთქვი.

ამის შემდეგ მის კიდევ დიდხანს დარჩა ჩემთან და ამ საკითხებზე ექვსჯერ შევატყვე; რომ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩვენს ტაძრებში შემონახულ ძველთაძველ საკულტო მხატვრობისადმი, ბოლოს მან თითქოს სხვათა შორის მკითხა:

„გამიგონია: თქვენში ხალხი ღმერთს განუდგა და ეკლესიების არაფერი სწამთო, რამდენად მართალია ეს?“

„ხალხის უმრავლესობის შეგნება განუდგა „ღმერთს“, მაგრამ ღვთისმორწმუნენიც არიან ჩვენში.“

„მაგრამ ძალზე მცირე ნაწილი, არა?“

„დიას, უმცირესობა.“

„და ხატებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ხომ მართალია?“

„მერე ამით რა გინდათ თქვამთ?“

„ის, რომ ჩვენ შევისყიდით ზოგიერთ მათგანს.“

„რა უფრო გაინტერესებთ?“

„თუ პრინციპული თანხმობა იქნებოდა, საგნებს მერე შევარჩევდით“, — მითხრა მან.

ფრანგის ასეთმა გათავებებამ ამაღლევა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული კარგად შევისწავლიათ, მაგრამ აწყობზე წარმოგება არ გქონიათ, ჩვენ, ღირსშესანიშნავ ძეგლებს, საკულტო იქნება ის თუ ხელოვნების სხვა ძეგლი, კი არ ვყიდით, არამედ ვყიდვლობთ, და თუ ასეთ რამეს შეეღვეთ, ჩვენზე უკეთეს მუშტარის ვერ იშოვით.“

მიუფრე მკვებდა, ცივად დაუყარა თვალი და ამით ვაგრძობინე, რომ ლაპარაკის გაგრძელება არ მსურდა.

თავმჯდომარე წამოღდა, გაიარ-გამოიარა, მერე ჩვენს წინ გაჩერდა. მასპინძელმა საითთოდ ჩავხედა თვალე-ბი და ეგვიპტევი ხმით გითხრა:

— თქვენი ბარათში მოხსენებულმა მარტყოფის ხატმა ის ფრანგი გამახსენა და შევეპყვდი, იქნებ რამე კავშირი ჰქონდეს იმ თავდასხმას უცხოეთთან-მეთქი, ვიფიქრე.

(გაგრძელება იქნება)

გერამ ასათიანი



3. ანჯაფარიძე — ივლითი კ. გუცკოვის „ურჩილ აკოსტა“.

მომოცი წლის გამუდმებულმა წვამ ხელოვნებაში შეიძლება ფერულად აქციოს ადამიანი. მითუბეტეს, თუ მთელი მისი ხელოვნება განუწყურებლად არის დაკავშირებული სცენასთან, რამის შექმნა, მაყურებლის უღმობებელ თვალბრუნებთან...

ამგვარი სიტყვები, დაწერილია, ალბათ, არა ერთთვის სხვა იუმბილართა მისამართითაც, მაგრამ ვინ შეიძლება დაეჭვდეს ჩვენს გულწრფელობაში, თუ ვიტყვით, რომ დღეს ქართულ სცენაზე არ არსებობს სხვა — ვერცხე უფრო ახალგაზრდა მსახიობი ქალი.

განა იგი დღემდე არ რჩება ჩვენთვის იმ ჭაბუკური თავდავიწყებისა და დაუქანცავი მაძიებლობის ყველაზე ბრწყინვალე მაგალითად, რომლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელია აქტიორული შემოქმედება.

განა დღემდე არ შერჩა მის ხმას, მის თვალბრუნებს ის შეუშუსგერელი ცეცხლი პირველი სიყვარულისა, რომელიც მან ამ ორმოცი წლის წინათ აჩუქა ახალგაზრდა ქართულ თეატრს.

ამიტომ არის, რომ ჩვენთვის არ არსებობს ვერცხის ჭაღარა, არ არსებობენ ნაოჭები მის სახეზე. და ეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უკანასკნელ დრომდე ძველებურად შეუდარებელია თავის ახალგაზრდულ როლებში. არა მხოლოდ ქალწული მირანდოლინას გაუფრთხილი გვალაპარაკებს ჩვენ ამას...

ასეთია ვერცხის თავის მოხუც ეუხენაშიც.

ესპანელი მწერლის კასონას ღრამა „ხეები კვდებიან ზეზურად“ არ არის ღარიბი ქვეტექსტური შინაარსით. მაგრამ მხოლოდ ვერცხის ანჯაფარიძის შექმნილ ასე მძაფრად ეგზონონიზება მაყურებლისათვის ამ პიესაში დაფარული ერთი იდუმალი აზრი.

შესაძლებელია ეს არც კი წარმოადგინდა მსახიობის შეგნებულ განზრახვას, მაგრამ მთელი თავისი არსებით, თავისი სადა და ლალი, მაგრამ ამავე

ღრის ღრმად გააზრებული თამაშით, იგი თითქოს ყველაფერთან ერთად გვეუბნება იმასაც, რომ ეს ცხოვრებისაგან გაძარცვული ქალი — მოხუცი ეუხენა — თავისი მხნე და შეურბიველი ნატურით, თავისი ნათელი გონებითა და მგზნებარე ხასიათით ბევრად უფრო ახალგაზრდაა იმ ყმაწვილ ადამიანებზე, რომლებიც ამაოდ ცდილობენ მისი დაუშოშმინებელი სულის მიძინებას.

ეს პიესა თითქოს განგებ არის დაწერილი ვერცხის ანჯაფარიძისათვის. ისე სრულად და მკაფიოდ მქადავდება მასში ამ მსახიობის მრავალმომცველი არტისტული ნიჭი.

სხვათა შორის ამ უკანასკნელმა ნამუშევარმა განსაკუთრებული სიყვარულით გამოავლინა ერთი ღრმა თავისებურება, რომელიც საზოგადოდ მისი აქტიორული ბუნებისათვის არის დამახასიათებელი.

ჩვენს მწერლობაში ბევრი რამ თქმულა ვერცხის სინაზის შესახებ. მართლაც: ძნელია წარმოიდგინო სხვა მსახიობი ქალი, რომელსაც შეეძლოს თავისი გმირის ინტიმურ სამყაროში უფრო ღრმა ჩაწვდომა და მისი ასე უშუალო ლირიზმით ამტყვევება.

ქართველი მაყურებლისათვის ვერცხის თამაში უკვე იქცა ქალური სინატივისა და მომხიბვლელობის სიმბოლოდ. იგი თითქოს კანონიზირებულ იქნა კიდევაც როგორც გარდაუვალი პოეტური ეპიტეტი (გავიხსენოთ თუნდაც იოსებ გრიშაშვილის „ნარნარი როგორც ანჯაფარიძე“).

მაგრამ ჩვენის აზრით ვერცხის „სინაზის“ არაფერი აქვს საერთო იმ ცრემლიან სენტიმენტალიზმთან, რომელიც მაყურებლის ერთ ნაწილს სურს დაინახოს მის თამაშში. მისი არტისტული ნატურისათვის მიუღებელია ქალური სინაზის — როგორც ხასიათის სისუსტისა და სულიერი უმწიობის — ბანალური გაგება.

მთელი თავისი შემოქმედებით, თავისი ჭეშმარიტად გაყვარებული და ღრმად ტრაგიკული ხელოვნებით ვერცხის ანჯაფარიძე არღვევს ამ ტრივიალურ წარმოდგენას „სუსტი არსების“ შესახებ.

ვერცხის სინაზე — ეს არის გმირული, ჰეროიკული სინაზე, რომელიც წარმოადგენს ქალური ხასიათის ყველაზე მაღალ და ყველაზე კეთილშობილურ გამოვლინებას.

კასონას ღრამის უკანასკნელი სცენა, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ვერი-

კო — ეუხენა ფეხზე მდგარი ეგებება მოზღვავებულ უბედურებას, სიმბოლიურია მთელი მისი შემოქმედებისათვის.

სწორედ ასე, ბედის ვერაგობასთან და ადამიანის სიმდაბლესთან შეურბიველი, თავისი ქალური ღირსების სრული შეგნებით კვდებოდა ვერცხის ანჯაფარიძე ქართულ სცენაზე ამ ორმოცი წლის განმავლობაში.

ასეთი იყო მისი ფინალი თვით მარგარიტა გოტიეშიც. ამ ცხოვრებისაგან გასრისილი, დაცემული ქალის როლშიც.

ჩვენ გვინდა აქ მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი ლეკან ასათიანის უბის წიგნიდან.

„თუ გინდათ გაიგოთ რა მძლავრი შემოქმედებით ფანტაზია აქვს ამ ქალს, ნახეთ მისი მარგარიტა გოტიე.“

ამ ბანალური მგლოდრამიდან მან შექმნა მომხიბლავი პოემა სიყვარულისა და სიკვდილის შესახებ...

გახსენეთ პირველი სცენა სიყვარულის ახსენისა, როდესაც ვერცხის ხელს აიფარებს სახეზე — მარგარიტაში, ამ როსკიმ ქალში, ილღიძებს წრფელი სიყვარული და ის ხდება კდემამოსილი და შორცხვი, როგორც უბიწო ქალწული, რომელმაც განიცადა პირველი ტრფიალი...

ბოლოს — საფინალი სცენა — მისი სიკვდილი. ვერცხის კვდება ფეხზე, მას მკლავები გადაუჭდება არმანის კისერზე და ამ დროს მისი სული — სიყვარულით აღვზნებული, თითქოს გადადის არმანის არსებში, ხოლო სხეული, როგორც ცარიელი ჩენო, ნელა ეშვება ძირს!

არა, ეს სურათი თავზარდამცემია! ვერცხის ანჯაფარიძის მიერ შექმნილი „უბედურ ქალთა“ სახეები მაყურებელში იწვევენ არა მხოლოდ ჩვეულებრივი სიბრალულის გრძობას. ეს რომ ასე იყოს ჩვენ მათ დაფიქსირებლით ისევე მალე, როგორც გვაფიქვდება ის გულისტკივილი, რომელიც მათი ტანჯვისა და სიკვდილის ხილვისას განიცადებთ.

მაგრამ ეს სახეები ჩვენში ბადებენ სხვა, უფრო მაღალი ხასიათის ემოციებსაც. ისინი აღაფრთოვანებენ მაყურებელს თავიანთი სულიერი სიმშვენიერითა და კეთილშობილებით, აღვიძებენ მის სულში ნათელ რწმენას იმ ამოღებული სილამაზისადმი, რომლის მოთხოვნა — როგორც თანდაყოლილი წყურვილი — ცოცხლობს ყოველი ადამიანის ბუნებაში. ისინი თითქოს კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ ამ სილამაზის რეალურ არსებობაში და

ამით ფრთხვს ასხამენ ჩვენს მისდამი ინსტიქტურ მისწრაფებას. ვერცხის გმირი ქალები იღუპებიან ბედისწერასთან ერთად ბრძოლაში. მათი წმინდა და გამჭვირვალე სულიერი სამყარო — როგორც ძვირფასი ბროლის ქურჭელი — იმსხვრევა უხეშ სინამდვილესთან შეჯახებისას. მაგრამ მათ მიერ დანთებული აღტაცების ნაპერწკალი საბოლოოდ ყოველთვის ზეიმობს გარსმხვეულ ბნელეთის ძალებზე.

ამაშივე ვერცხის ანჯაფარიძის ტრაგიკული ნიჭის მთავარი საიდუმლოება, რადგანაც ჭეშმარიტი ტრაგიკიზმი, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზეც, გულისხმობს არა სულიერად უმწიო არსების საცოდაობას, არამედ

შინაგანად მრთელი და წარმატცი „სულდილი ქმნილების“ ამაყ ბრძოლას მოზღვავებულ უბედურებასთან.

არსებობენ წუთები, რომელთა მოგონება სამუდამოდ რჩება ჩვენს მეხსიერებაში. ყოველ ადამიანს გააჩნია რამე ასეთი ძვირფასი მოსაგონარი თავისი პირადი ცხოვრებიდან.

ბევრად უფრო იშვიათია შთაბეჭდილება, რომელიც წარუშლელ დადს ასევე ადამიანთა დიდი ჯგუფის — რამდენიმე თაობის მეხსიერებას.

თანამედროვე ქართველი მაყურებლის შეგნებაში ასეთ გარდაუვალ მოგონებად რჩება მარგარიტის თეატრის მიერ განსახიერებული „ურჩილ აკოსტას“ მეორე აქტი — დაწყების სცენა.

ამ სცენაში ვერცხის — ივლითი, რომელიც ადრე ჩვენ წარმოგვიდგებოდა, როგორც აკოსტას სიბრძნით აღტაცებული და მის ვაჟკაცურ, კეთილშობილ სულს პატარა ბავშვივით მინდობილი ნაზი არსება, უცერად აჩვენს სრულიად სხვა შინაგან თვისებებს. იგი აქ თვითონვე იქცევა თავისი ჩირქმოცხებული და საჯაროდ შეჩვენებული მიჯნურის მფარველად და გადამჩენელად...

მარტოდ-მარტო უიარაღოდ — როგორც დაჭრილი ფრიფელი ერაკუნა და უკუაგდებს იგი ურჩილის ჩასაქო-



3. ანჯაფარიძე — მარგარიტა გოტიე — ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“.

ლად გამზადებულ იუდეველთა გამოროტებულ ხროვას. იგი იმარჯვებს მათზე მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქალური სიყვარულისა და ერთგულების ნაზი იარაღით.

გადარჩენის ზარივით რეკენ ჰაერში მისი სიტყვები: „სტყუი, რაინო!“

ივლითის ნათელი რწმენა ურჩილ აკოსტას შეუბღალავ სიწმინდეში როგორც უცერად ანთებული ჩირადლის შუქი ფანტავს მის გარშემო ამბოქრებულ სიავისა და ცილისწამების შავბნელ აზრდილებს.

რა დილია ვერცხის მეორე წუთში, როდესაც იგი თითქოს თავისი ალერსის ჯავშანში ახვევს ურჩილის სასოწარკველი სულს: „ნელა ჩემი ხარ, ჩემი ურჩილ... წმინდა სიმართლით მე შენი თავი მტერს გამოგტაცა“.

ეს არის ქალური სიყვარულის ყველაზე დიდი და ყველაზე მაღალი გმირობა, რომელიც ქართულ სცენას ახსოვს.

ვერცხის ანჯაფარიძის ტრაგიკული ნიჭმა განსაკუთრებით ორგანიულად შე-



3. ანჯაფარიძე — ეუხენა — კასონას „ხეები კვდებიან ზეზურად“.



უჩაჯაფარიძე — ვ. ანჯაფარიძის პორტრეტო.

ითვისა კლასიკური თეატრის რეპერტუარი. სამწუხაროდ, მას ჯერ კიდევ არ შეუქმნია ივლითისა და ოფელიას ბადალი ქართველი ქალის სახე.

პეტრის ბუნებრივი წიხილია გამობატული ამის გამო ლექსში:

„მინდოდა ერთი ნატკრა მენატრა და სანატრელი ისევე შენა ხარ, მომკვდარი იყავი და ამ ჩვენ სცენაზე შენი ქართველი ქალი მენახა.

გასაგებია ის მღელვარება რომლითაც მთელი ჩვენი საზოგადოება ელის ვერიკოს „ოთარანთ ქვრივს“.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჩვენი ღრმა რწმენით, ქართველ მაყურებელს არ ეთქმის საყვედური ვერიკოსადმი.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვი აქ ვერიკო ანჯაფარიძის მიერ ადრე შექმნილ ცაბუს, გინატრის და სხვა ქართული ნაციონალური დრამატურგიის პერსონაჟთა სახეებზე, რადგანაც არ გვექონია მათი ნახვის შესაძლებლობა.

მაგრამ განა თავის კლასიკურ როლებში ვერიკოს ყოველთვის თან არ ახლავს ის თავისებური ელფერი და სურნელება, რომელიც ნამდვილი ნაციონალური ხელოვნების მთავარ ნიშანდობას შეადგენს.

განა მხოლოა თუნდაც იგივე ივლითის კლემანოსი ბუნებაში, მის უანგარო და

თავდადებულ სიყვარულში იმ ჩვენთვის განსაკუთრებით ახლოგულ თვისებათა ამოკითხვა, რომლებიც ქართველი ქალის განუმეორებელ ხასიათში ცოცხლობენ.

რომელი სხვა ერის მსახიბო ქალს შეეძლო ეთქვა ასეთი ღრმა და გულწრფელი განცდით თავისი მიჯნურისთვის:

„ო, მეგობარო, ნუ ამბობ მაგას. ჩემო ურთელ, შენ ბრძოლის ველზე უნდა წახვიდე თამაში, ლაღი“.

განა ვერიკოს თამაშს, მის ქესტს, მიმიკას მის განუმეორებელ ლიმილს და ხმას ღრმად არ ამჩნევია ჩვენი ეროვნული გენიის მადლი?

ვერიკო ანჯაფარიძის მთელი შემოქმედება ეს არის ჭეშმარიტად დიდი ნაციონალური ხელოვნების მაგალითი, რომელიც ჩვენი ერის სულიერ თვითმყოფადობის ერთ-ერთ უბრწყინვალეს გამოვლინებას წარმოადგენს.

ამიტომაც მისი სახელი ასე ძვირფასი და ასე წმინდა ყოველი ქართველი ადამიანისათვის. სწორედ ამ დიდი ალტარცემით იყო გასხვიოსნებული ის სიყვარული გონობა, რომელიც ჩვენმა ხალხმა გამოჰხატა ვერიკო ანჯაფარიძისადმი მისი სახელოვანი იუბილეს დღეებში.



„დროშის“ მკითხველთაგან ბევრმა, ალბათ, არც იცის რომ ვ. ანჯაფარიძე ცნობილი კინორეჟისორის მიხედვით ქართველობის მთელი უფროსი თაობა, ხოლო მათი შვილებიდან უფროსი (დასა მარჯვნივ) რამაზი რეჟისორია, ხოლო უმცროსი (ზის მარცხნივ) — კინომსახიობი. კინომსახიობია აგრეთვე სოფიკო ქმარი, ნატო ვაჩნაძისა და ნიკა შენგელაიას ვაჟი — ვ. შენგელაია (დასა მარცხნივ).

ფარდა ახდა ერთ საიდუმლოებას, რომელიც თხოთმეტი საუკუნის განმავლობაში აწუხებდა მეცნიერებს: გამოიკვია, რომ იმ თხოულებათა ავტორი, რომელთა საფუძველზე შემუშავდა საშუალო საუკუნეების ფეოდალური ქრისტიანული ფილოსოფია, არის მე-5 საუკუნის მოღვაწე პეტრე იბერიელი.

1. ბუნებრივია, რომ საშუალო საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება აყალიბებს გარკვეულ ფილოსოფიურსა და რელიგიურ შეხედულებებს, რომლებიც შემდეგში თვით ამ ფეოდალური საზოგადოების წინსვლის აქტიური ძალა ხდება: ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქრისტიანული ფილოსოფია და ეკლესია, როგორც მისი შემფარველი ორგანიზაცია; „ეკლესია — ამბობს ენგელსი, — წარმოადგენს არსებული ფეოდალური წყობილების უმაღლეს სინთეზს და სანქციას“ („გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 41).

ფეოდალური წყობილების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ფეოდალური იერარქია, რომლის თვითული წარმომადგენელი მასზე დაბალის მიმართ სენიორია, ხოლო მაღალის მიმართ — ვასალი. ამ ფეოდალური იერარქიის პრინციპის გასამართლებლად ქრისტიანული ფილოსოფია ქმნის თეორიას ზეციური იერარქიის არსებობის შესახებ. და ეს თეორია განვითარებულია იმ წიგნებში, რომელთა ავტორის ძებნაში იყო მეცნიერება 15 საუკუნის მანძილზე და რომელთა ავტორი აღმოჩნდა პეტრე იბერიელი.

მეხუთე საუკუნე დიდი ღელვისა და შფოთვის საუკუნეა ფეოდალურ-ქრისტიანული სამყაროს ცხოვრებაში. ამ საუკუნეში სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა გამართული ფეოდალური საზოგადოების იმ ბანას შორის, რომლებიც ზურგს უკან ამოფარებიან ქრისტიანულ დოგმატებს და იბრძვიან თავიანთი პრივილეგიებისათვის. ეს ბრძოლა წარმოებს გარეგნულად ქრისტეს ბუნების მიმართ დასმული საკითხის გარშემო: წარმოადგენს ქრისტე ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც და კაცსაც (დიოფიზიტები) თუ მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნებისაგან შედგება (მონოფიზიტები). გაბატონებულ, ორთოდოქსალურ მიმდინარეობად ითვლებოდა დიოფიზიტობა, რომლის წარმომადგენლები მართავდნენ სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც. ჩვენ ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს ბიზანტიის უზარმაზარ იმპერიაზე, რომელშიც მრავალი სხვადასხვა პროვინცია შედიოდა, მრავალი სხვადასხვა ერი ცხოვრობდა. რელიგიური საკითხების საბრძოლო დროშით გამოდიოდნენ არა მარტო სოციალური უფლებებისა და პრივილეგიებისათვის მებრძოლნი, არამედ იმპერიის განაპირა პროვინციების ეროვნული უმცირესობანიც, რომლებიც, გარდა საერთო სოციალური ჩაგვრისა, ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდნენ და იბრძოდნენ ამ ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ სირია, პალესტინა და ეგვიპტე მონოფიზიტთა ბანაკში არიან. ეს სამი პროვინცია ბიზანტიის იმპერიის ეკონომიურად მარჩენილ პროვინცია იყო და, ცხადია, რომ ცენტრი სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებდა ამ პროვინციებს და მათ მონოფიზიტურ კონცეფციებს. მონოფიზიტთა მოძღვრების დაგმობის მიზნით მოწვეული იქმნა 451 წელს ქალკედონის კრება, რომლის დადგენილებათა საფუძველზე დაშლეს ყოველგვარი მონოფიზიტური ორგანიზაცია, გადააყენეს მონოფიზიტური ეპისკოპოსები, გააძევეს ურჩნი. ამ დროს პალესტინის ერთ-ერთი დიდი მონოფიზიტური ორგანიზაციის შემქმნელი და მეთაური იყო პეტრე იბერიელი, რომელიც, მიუხედავად მონოფიზიტთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლისა, არათუ არ იდევნება, არამედ, პირიქით, ლაშის (მართვის) ეპისკოპოსადაც ინიშნება და რომლის ხელშეწყობის შესახებ საგანგებო ბრძანებაც კი არის გაცემული იმპერატორ მარკიანეს და მისი მეუღლის პულქერის მიერ.

2. პეტრე იბერიელზე საკმაო ცნობები მოგვეპოვება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. იგი იყო ქართლის მეფის ვარზ-ბაქარის შვილი, ხოლო გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით მძევლად იყო გამოთხოვილი ბიზანტიის კეისრის თეოდოსი II-ის მიერ და იზრდებოდა კონსტანტინოპოლის სასახლეში. თეოდოსის მეუღლე ევდოკია ფრიად განათლებული ქალი იყო, იგი ცნობილია როგორც პოეტიც, და ქართველ უფლისწულს ჩინებული განათლება მისცა. ბიოგრაფოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველმა უფლისწულმა ადვილად დასძლია ბერძნული და სირიული ენები, ღრმად შეისწავლა „ფილოსოფოსობა სრული“ ისე ღრმად, რომ ყველას უკერადა. ბიოგრაფოსების ცნობით ყმაწვილს (მას სახელად ერქვა მურვანოსი, სირიული წყაროებით ნაბარსუგი) ემჩნეოდა ღრმა-სევდიანი განწყობილება, უყვარდა განმარტობით ყოფნა, ახლოს იყო მხოლოდ ერთ ლაშთან, რომელსაც მითი იბიდატ ერქვა (ბერად ალკვიცის შემდეგ — იოანე). ძნელი არ არის იმის ამოკითხვა (თუნდაც სტრიქონებს შუა) მის ბიოგრაფიებში, რომ ამ ყმაწვილს არ აკმაყოფილებდა სამეფო კარზე ცხოვრება, არც იქ გაბატონებული შეხედულებები. ერთ მშვენიერ დღეს პეტრე და იოანე გაიპარნენ სასახლიდან, ჩასხდნენ პალესტინისაკენ მიმავალ ხომალდში და მალე თავი ამოჰყვეს პალესტინის ქალაქებში, საბოლოოდ დამკვიდრდნენ ქალ. ლაშში და იქ ეწეოდნენ იდეურ მუშაობას. პეტრეს გარშემო შემოკრბნენ ახალგაზრდები, რომელთაგან რამდენიმე — ცნობილი მოღვაწე გახდა.

აქ უნდა განვმარტოთ ორი საკითხი:

ა) არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს პეტრეს შეხვედრა იოანე ლაშთან. მართალია, ბიოგრაფიებში ჯერჯერობით არ არის ამოკითხული ამგვარი რამ, მაგრამ ლოგიკური მსჯელობა, რომელსაც ჩვენს ღრმა რწმენით დადასტურებს მომავალში პეტრეს ბიოგრაფიებში ამოუკითხავად და ამოუშვებლად დარჩენილი ცნობები, გვიკარნახებს ვთქვათ, რომ ეს იოანე ლაშის არის პეტრეს აღმზრდელი, რომელიც მას გამოაყოლებს საქართველოდან. როგორ შეიძლება შემთხვევით შეხვედროდა ის კონსტანტინოპოლში ლაშს, თავისზე უფროსს ში წლით? უფლისწულს უთუოდ ეყოლებოდა მცხეთაში (ქართლის სახელმწიფოს დედაქალაქში) მასწავლებელი და, როგორც ჩანს, ამ მიზნით გამოიწერეს ლაშკიდან, სადაც ამ დროს ყვავოდა ფაზისის უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, ამ სკოლის პროფესორი მითრიდატე ლაში, რომელიც შემდეგ გაჰყვა მას უცხოეთში და სიკვდილამდე არ განშორებია მას. ბიოგრაფოსების ცნობით, ისიც, მითრიდატე (იოანე), გამოჩენილი მოაზროვნე ყოფილა და მეტი წილი ცნობებისა პეტრეს „ბიოგრაფიებში“ ეხება სწორედ პეტრეს მსჯელობას იოანესთან ფილოსოფიურ საკითხებზე.

ბ) მეორე საკითხი ეხება პეტრეს გაქცევას კონსტანტინოპოლიდან პალესტინაში. პალესტინა იყო ცენტრი მონოფიზიტური მოძრაობისა, და საფიქრებელია, რომ პეტრე და იოანე იმიტომ გამოიძვინდნენ კონსტანტინოპოლის სასახლეს, რომ იქ გაბატონებული იყო ოროლოქსალური შეხედულებები, რომ-



პეტრე იბერიელი. იერუსალიმის კედლის მხატვრობიდან გადმოხატული ნ. ჩუბინაშვილის მიერ 1845 წელს (საქ. მუხ. ხელნაწერი № A-1757).

ლებიც პეტრეს და იოანეს არ აკმაყოფილებდნენ, და გაემგზავრნენ პალესტინაში სწორედ იმ მოსაზრებით, რომ იქ თავისუფლად შესძლებდნენ თავიანთ მონოფიზიტურ შეხედულებათა ქადაგებას. ჩვენ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ იმპერიის განაპირა პროვინციების ოპოზიციური სულიკვეთება გამოწვეული იყო არა მარტო სოციალური ჩაგვრით, არამედ ეროვნული ჩაგვრითაც. იოანე ლაზს თავისი ოპოზიციური განწყობილება კონსტანტინოპოლის მთავრობის მიმართ შეიძლება მოტიანი ჰქონდეს ლაზიკიდან, რომელსაც ახე დათარგმობდნენ ბიზანტიის მთავრობის წარმომადგენლები; საფიქრებელია, რომ იოანე ლაზი, პალესტინის მცხოვრებლებთან ერთად, იბრძოდა ეროვნული განთავისუფლებისათვის.

რიცხვ-მრავალნი იყვნენ: სევროს ანტიოქიელი, იოანე რუფუსი (პეტრეს მეგვიდრეა ეპისკოპოსის კათედრაზე), ზაქარია რიტორი და სხვ. თუ რამდენად დიდი მოღვაწე ყოფილა პეტრე, ჩანს თუნდაც შემდეგი ფაქტებიდან:

ა) მოძრაობამ საეკლესიო ცხოვრებაში არ იცის იმავე უფრო მწვავე ბრძოლა, რომელიც იყო ბიზანტიაში დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შორის: ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლებდნენ მონოფიზიტებს გამარჯვებული დიოფიზიტები, მაგრამ მონოფიზიტთა ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე (პეტრე იბერიელი) ხელი ვერ ახლეს. ეს იმას ნიშნავს, რომ პეტრე იბერიელი იმდენად პოპულარული პიროვნება იყო, რომ მის დევნას კიდევ უფრო მეტად შეეძლო აელღევებინა საზოგადოება. ამ მოსაზრებით იყო საკანგებო ბრძანება გაცემული იმპერატორ მარკიანეს მიერ პეტრე იბერიელს ხელი არ ახლოთო.

ბ) პეტრე იბერიელზე დაიწერა რამდენიმე მონოგრაფია მისი გარდაცვალების უმაღლესი. ჩვენ არ გვგვალდება ბიზანტიელი მოღვაწეებთან ვინმე სხვა, რომლის ბიოგრაფიას ღირსებოდა ამდენი მონოგრაფია: აქედან ჩვენამდე მოღწეული (სირიულ ენაზე) ერთი ბიოგრაფია შეიცავს 146 დაბეჭდილ გვერდს (გამოცემულია 1895 წელს რ. რაბაზე მიერ).

მართალია, ადამიანს თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ქართულ წყაროებში შედარებით უფრო გვიან ჩნდება ცნობები პეტრე იბერიელზე, მაგრამ როგორც ჩანს, ამას თავისი მიზეზები აქვს და ეს მიზეზები სასკვევი. პეტრე იბერიელზე კვლევა-ძიება ხომ არ წარმოებულა. მხოლოდ ახლა გაიღვიძა ინტერესი პეტრე იბერიელისადმი, მის შემდეგ რაც აღმოჩნდა, რომ იგი ავტორია საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ფუძემდებელი შრომებისა, და იმედია ამიერიდან გაირკვევა მრავალი ბუნდოვანი საკითხი. ჯერჯერობით კი იქიდანაც, რაც ვიცით, ცხადია, რომ პეტრე იბერიელი დიდი პიროვნება ყოფილა. ჩვენ არ ვიცოდით, თორემ ძველმა ქართველებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ პეტრე დიდი პიროვნება იყო. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მისი სურათი მოუთავსებიათ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების გვერდით.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობა აღწერილი აქვს რამდენსავე მოგაურს. 1845 წლის მაისში ეს მონასტრობა ინახულა ნ. დ. ჩუბინაშვილმა (ცნობილი ლექსიკოგრაფის პროფ. დ. ჩუბინაშვილის ბიძამ (1788-1847), რომელიც ჯვარის მონასტრის კედლებზე დახატულ ქართველ მოღვაწეთაგან იხსენიებს შოთა რუსთაველს, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელს, მირიანს, ვახტანგ გორგასალსა და ბაგრატ კურაპალატს. ამ უკანასკნელთა შემდეგ, — წერს ნ. ჩუბინაშვილი, „ხატია წმ. პეტრე ქართული და მის პირდაპირ სქემოსანი მონაზონი, თვალდაპკრული, თავზე ჯვარი აქვს, უკანდამ მიკრული, ორისავე ხელით საწითელი უჭირავს ანთიფელი; ამაზედ ქართულად მსწერია: იყუნედ წელნი თქვენნი მორტყმულ და საწთელი აღნიეზულ. ამისთჳს გვითხრეს, ვითარმედ ესერი შეჰმოსენ დიდითა სქემითაო“ (იხ. A. Чагарели, Сведения III, 45-46).

ჯვარის მონასტრის მხატვრობის დასათარიღებლად უნდა ითქვას შემდეგი: ნ. ჩუბინაშვილის ცნობით, „ამავე კარებს ზეიდამ ბერძნულად და ქართულად სწერია ესრეთ: დაიხატა და განათლდა წმიდა ესე და ყოვლად პატრიარქის ტაძარი ჯვარისა ცხოველის მყოფელისა ჯერჩინებითა და შეწყენითა ყოვლად სახელგანთისა და ბრწყინვალისა დადაიანისა ლეონისათა... ქრონიკონსა ტკია (1643 წელს)“. საფიქრებელია, რომ ამ წელს მხატვრობა იქმნა განახლებული, ხოლო სურათები იხატებოდა „უამითი-უამად“, VI-XV საუკუნეებში.

რასაკვირველია, არ შეიძლება არ დაგვანტერესოს იმ „სქემოსანმა მონაზონმა“, რომელიც დახატულია პეტრეს პირდაპირ. სექციური კვლევა საჭირო და იქნებ მხატვრობის გონებამახვილმა მკვლევარმა ამ თვალაქრულ მონაზონში აღმოაჩინოს პეტრე იბერიელის აზრთა თანამოზარე, მისი აღმზრდელი და მეგობარი იოანე ლაზი. ჩვენი მხრით კი, ამთავითვე, ვიტყვით შემდეგ: პეტრე იბერიელის ქართულ „ცხოვრებაში“ არის აღწერილი ერთი ეპიზოდი, რომელიც, ჩვენის შეხედულებით, უნდა ეხებოდებოდეს იერუსალიმის კედლის მხატვრობის „სქემოსან მონაზონს, თვალდაპკრულს“. სახელდობრ, იქ მოთხრობილია, რომ ერთხელ იოანეს სახეზე მუშუკი გამოუვიდა, რომელიც სკამდა „პირსა მისსა“ და რამაც მხედველობა წარათვა. მაშინ პეტრემ წაიყვანა იოანე იერუსალიმს „პირსტეს საფლავის“ ეკლესიაში სალოცვად და სავედრებლად და, აი, მოხდა სასწაული: გამოჩნდა კაცის ხელი, რომელიც შეეხო იოანეს პირს. იოანეც მაშინვე განიკურნა. აი, როგორ არის ეს აღწერილი:

„უამსა ერთსა გამო-რამემ-აჯდა პირსა იოანესსა და დაესხა ურვილი და სკამდა პირსა მისსა და მიუღებდა ნათელსა თულთა მისსადა და პრცხუენდა მისღვად კაცთა თანა და იფარვიდა პირსა მისსა. მაშინ წაიყვანა წმიდამან პეტრე იერუსალიმს საფლავსა უფლისასა. და ვითარ აღასრულეს ლოცვა,

იხილეს ყოველთა, რამეთუ ხელი კაცისა გამოვიდა ლოდისა მისგან პატრიარქისა და შეახო პირსა იოანესსა. და მეხსეულად მასვე უამსა განიკურნა“.

ფიქრობთ, ყოველგვარი განმარტების გარეშეც ცხადია, რომ აქ მოყვანილ ტექსტში აღწერილია იმ „თვალაქრული სქემოსანის“ თავდასხვალი, რომელიც დახატულია პეტრე ქართველის პირდაპირ, იერუს. მონასტრის კედლებზე.

მის შემდეგ, რაც პეტრე იბერიელის პიროვნებით დაინტერესდნენ საქართველოშიც, დაიწერა (თუ ძველად არსებულადან გადაიწერა) მისი ბიოგრაფიები. ჯერჯერობით ცნობილ ხელნაწერთაგან პირველად მეცამეტე საუკუნის ხელნაწერით არის მოღწეული პეტრეს „ცხოვრება“; ქართველი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ კრებულებში მუდამ შეკეთ პეტრეს ცხოვრება. ერთ მათგანში (ხელნაწერი საქ. მუხუმიხისა № S—3269) საუკეთესო მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტიც კი არის მოთავსებული ფერად საღებავებში.

ამ ხელნაწერში მოთავსებული ბიოგრაფია პეტრე იბერიელისა ასე იწყება: „თუესა დეკემბერსა ორსა წმიდისა მამისა ჩუენისა პეტრე მათუისა ქალაქისა ეპისკოპოსისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“. ხოლო თვით სურათის აწერია: „წმიდა პეტრე ქართველი“ (იხ. ხელნაწერი № 3269, გვ. 289). ამავე ხელნაწერის მომდევნო გვერდზე (გვ. 290) პეტრე ქართველის კიდევ ორი სურათია, დახატული სამლოცველოს ფონზე და რთულ კომპოზიციაში.

ამგვარად, ცხადია, რომ პეტრე იბერიელი გამოჩენილი პიროვნება ყოფილა.

მ. ახლა დაგვჩინდია გავიწყობთ, თუ რა არის ის წიგნები, რომელთა ავტორი აქამდე უცნობი იყო და რომლებიც დაუწერია პეტრე იბერიელს. ეს არის ოთხი ტრაქტატი („საღმრთო სახელები“, „სეციური იერარქია“, „საეკლესიო იერარქია“, „საიდუმლო თეოლოგია“) და სხვადასხვა პირობისადმი მიწერილი „ათი ეპისტოლე“. ამ ტრაქტატებში და წერილებში ავტორი ეყრდნობა ნეოპლატონიკურ მოძღვრებას „ერთისა“ და „სიკეთის“ შესახებ და ავითარებს მისტიკურ მსჯელობას ზეციურ და ამქვეყნიურ სამეფოებზე. განხილულია ის საქრისტიანო დოგმატიკა, რომელიც შექმნა მონათმფლობელი და ფეოდალური ფორმაციების მიჯნაზე ბერძნულმა ეკლესიამ. ქალიკონის კრებამდე (451 წ.) შემუშავებული დებულებები ავტორის მიერ ნეოპლატონიკური მოძღვრების სამსულშია გახვეული, პირველად ეს შრომები ცნობილი გახდა 1832 წელს მოწვეულ საეკლესიო თათბირზე, რომელიც შეიკრება დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა ბრძოლების დროს შექმნილმა ჰაერის განსამუხუხავად. აი, ამ თათბირზე წარდგინდა იქმნა ეს შრომები იმ მოღვაწეების მიერ, რომლებიც ქალ. ლაზის გარშემო იყვნენ შემოკრებილი. როდესაც თათბირის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა განაღმდებოდა გაუფიქრებელი შრომების, როგორც არაორთოდოქსალურს, მაშინ განცხადებულ იქმნა მეორე მხარის მიერ, რომ ეს შრომები დაწერილია დიონისე არეოპაგელის მიერ (ახალი აღქმით ეს არის I საუკუნის ათენელი მოქალაქე, პავლე მოქალაქის მოწაფე). სწორედ ამ გზით, რომ ეს წიგნები „ღვთაებრივი“ ადამიანის, მოციქულის მოწაფის მიერ იყო დაწერილი, მოხერხდა ამ შრომების შეპარება საქრისტიანო მოძღვრებაში.


რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს შრომები მართლაც დიონისე არეოპაგელის სახელით ვრცელდებოდა. მაგრამ მე-15 საუკუნეში მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ ამ შრომებში გამოყენებულია მე-4-5 საუკუნეში წყაროები. ამგვარად ნათელი გახდა, რომ ეს შრომები მე-5 საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი, და არა I საუკუნეში, და რომ ამ თხზულებათა გამავრცელებელთ დასქირდათ დიონისე არეოპაგელის ღვთაებრივ ავტორიტეტს ამოფარებოდნენ, რათა შეეპარებინათ ის აზრები, რომლებიც არდევდნენ გაბატონებულ შეხედულებებს ქვეყნიურ და ზეციურ სამყაროთა რაობაზე. რადგან გაირკვა, რომ „დიონისე არეოპაგელი“ ნატყუარად არის მიკერებული ამ შრომებზე, გამოვლენილი მუშაობა წარმოებდა ავტორის ვინაობის გასარკვევად.

განსაკუთრებით ინტენსიურად იმუშავეს მკვლევარებმა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში და წამოაყენეს სხვადასხვა ჰიპოთეზა „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის“ შრომათა ავტორის საკითხზე (ზოგი ვარაუდობდა სევროს ანტიოქელს, ზოგი დიონისე ლაზელს, ზოგი სხვას). 1942 წელს პროფ. შ. ნუცუბიძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია „Тайна Пс.—Дионисия Ареопагита“, რომელშიც წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი უნდა იყოს პეტრე იბერიელი. მან შეადარა არეოპაგიტულ წიგნებში გატარებული აზრები სეციური და ამქვეყნიური იერარქიის შესახებ პეტრე იბერიელის ბიოგრაფიებში მოყვანილ საუბრებს პეტრესა და მის მოძღვარს იოანეს შორის და საკმაოდ ამაღვრებლობით ნათელყო იდენტურობა პეტრესი და არეოპაგიტული წიგნების ავტორისა. საბჭოთა პრესაში (Византийский Временник 1949) შ. ნუცუბიძის ჰიპოთეზა გაზიარებული იქმნა, აგრეთვე, საბჭოთა მეცნიერების სხვადასხვა გამოკვლევებში (ნ. სიდორუკი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.).

1952 წელს ბელგიის აკადემიის წევრმა და ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა ერნესტ ჰონიგმანმა გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელშიც ბრწყინვალედ დადასტურება ჰპოვა შ. ნუცუბიძის ჰიპოთეზამ. ე. ჰონიგმანიც, შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, მისულა იმ დასკვნამდე, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორია პეტრე იბერიელი. მისი საბუთების ერთი ნაწილი იგივეა, რაც შ. ნუცუბიძისა (სეციური და ამქვეყნიური იერარქიის შესახებ), ხოლო დამატებით ე. ჰონიგმანმა უტყუარი საბუთებით დააბტკიცა, რომ პეტრე იბერიელის ბიოგრაფიაში მოხსენებული იოანე ლაზი და არეოპაგიტულ წიგნებში მოხსენებული იერთოსი — ერთი და იგივე პირია. საკმარისია აღინიშნოს, რომ პეტრეს ბიოგრაფიაშიც მსჯელობა იერარქიაზე იოანე ლაზის ჩვენების სახით არის წარმოდგენილი და არეოპაგიტულ წიგნებშიც იგივე მსჯელობა ვინმე იერთოსის (ავტორის მახლობელისა და მეგობრის) სახელით არის გაშლილი. ბელგიელმა მეცნიერმა ნათელყო, რომ იერთოსი — იოანე ლაზი (ისევე როგორც დიონისე არეოპაგელი—პეტრე იბერიელის ფსევდონიმი). ამ ორი სახელის გაიკვეთა საბოლოოდ დადასტურა ერთმა კალენდარულმა მონაცემმა: პეტრეს ბიოგრაფიაში სწერია, რომ იოანე ლაზი გარდაიცვალა 4 ოქტომბერს, ხოლო კალენდარში 4 ოქტომბერს სწერია მოხსენიება იერთოსისა (ე. ი. იოანე ლაზის).

ე. ჰონიგმანის გამოკვლევამ დიდი გამოხატულება ჰპოვა უცხოურ პრესაში. ჩვენშიც ცნობილია რამდენიმე რეცენზია, გერმანულ და ფრანგულ ჟურნალებშიც მოთავსებული. მთავარი ჟურნალები „ბიბლიკონი“ (კაიბორგ), „ბიზანტიონი“, „ლა ნუველ კლოი“, „ანალიქტა ბოლანდინა“ დადებითად შეხვდნენ ე. ჰონიგმანის დებულებებს და აცხადებენ, რომ ე. ჰონიგმანმა საბოლოოდ გადაჭრა არეოპაგიტული წიგნების პრობლემა. რეცენზენტებს არ ავიწყდებათ აღნიშვნა, რომ პირველად ქართველმა მეცნიერმა, შ. ნუცუბიძემ, წამოაყენა და დასაბუთა ეს ჰიპოთეზა. არიან ისეთი — უფრო თეოლოგიური ხასიათის — ჟურნალები, რომლებიც, აგრეთვე, ესაღმებთან საკითხის ახალ გადაჭრას, მაგრამ თავს იკავებენ საბოლოოდ დადასტურებლად მიღწევა, თუმცა აღიარებენ — გზა საკითხის გადასაჭრელად უთუფად მოძებნილია.

ამგვარად ქართული კულტურის ისტორიაში ჩაიწერა ახალი ფურცელი, რომელიც მოგვიტობს ორი ქართველის (პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის) დამსახურებაზე მსოფლიო საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში.



ი.რ. სიხივილი

ჩვენი მხარის ზოგიერთი ადგილი ან ძველი ჩვენში ფაქიზ გარძობებს იწვევს. ჩვენზე მოქმედებს მომხიბვლელი პეიზაჟი, ძველის დახვეწილი ფორმები ან მოგონებანი მის ისტორიულ წარსულზე. ყოველ შემთხვევაში გვიქმნება მისდამი გულთბილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეგობრული განწყობილება. ეს არ არის გარძობა პირველი შთაბეჭდილებისა, არამედ ახლო გაცნობით განმტკიცებული. ასე ახლობელი ხდება ბევრისათვის მცხეთა, ჯვარი, სამწერისი, რომელთაც ყოველთვის ვხვდებით, როგორც ძველ ნაცნობებს, ახლობელს და ვპოულობთ მასში სულ ახალ და ახალ ნიშნებს.

ერთ-ერთ ასეთ ძველად გვევლინება ციხე-ქალაქი სამშვილდე, რომლის ნანგრევები დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. სამშვილდე მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით, 50-დე კილომეტრის დაშორებით, რაიონული ცენტრის თეთრი წყაროს მახლობლად. სამშვილდის ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის მიდამოებში მდებარე მენაირები, გამოქვაბულები, ყორღანები, ნეოლითური და ენეოლითური სადგომები მოწმობენ ამ ტერიტორიის ძველთაგანვე დასახლებას. შემთხვევითი როლია, რომ მის აშენებას მატანე ქართლოსს მიაწერს: „ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვიან სამშვილდე და მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთაოდ და ქალაქად“. იხსენიება სამშვილდე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან დაკავშირებითაც. VII-IX საუკუნეებში, განსვენებული ზ. სიხივილის გამოკვლევის თანახმად, სამშვილდის მფლობელებად ყოფილან „ნათესავთი პიტაოზში“ — ძველ პიტაოზთა გვარიშვილი. XI საუკუნის დამდეგის ქალაქი გაათავისუფლა, მაგრამ მეფეთა ხელში იგი დიდხანს არ დარჩენილა. XI საუკუნის დამდეგისათვის გიორგი II სამშვილდე შერიგებისა და პატების ნიშნად უბოძა საპატრონოდ კლდეკარის ერისთავს ივანე ლიპარიტის-ძეს. არ გასულა დიდი დრო და ქალაქი თურქ-სელჯუკებმა აიღეს. 1110 წელს დავით აღმაშენებელმა კვლავ შემოიერთა სამშვილდე. დავითმაც არ დაიტოვა სამშვილდე და 1123 წ. უწყალობა ბრძოლებში გამოაჯვრებულ ივანე ორბელს. ნახევარი საუკუნის მანძილზე, სამშვილდე ორბელიანთა ხელში იმყოფებოდა, შემდეგ კი, მათი აჯანყებისა და დამარცხებისას, ისევ მეფის ქალაქად იქცა.

XIII საუკუნეში მონღოლებმა „ჯერ ძლიერი და მაღალი ციხე სამშვილდე აიღეს და შემდეგ თბილისსაც მოადგინეს“. 1440 წ. სამშვილდის გარს შემოერტყა ჯემან-შაჰი. მოტყუებითა და მუქარით მისი აღება მოახერხა — სამშვილდის კარბეწი 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმევინა, 9400 ტყვე წაიყვანა, ყველა ეკლესია მთლიანად დაანგრია, ქვეყანა აოხრებული და აკლესიური დატოვა. ბევრი ბრძოლა გადახდა სამშვილდე XVII-XVIII საუკუნეებში. აქ შეხიზნულ ფეოდალთა წყალობით. ასე, მაგალითად, 1747 წელს დიდი ბრძოლა ატყდა სამშვილდში ერეკლესა და ბატონიშვილ აბდულა-ბეგ იასეს ძეს შორის, რომელმაც თემურჩანსა და ერეკლეს ქართლის წართმევა მოუწოდო.

სამშვილდე გაშენებულია მდინარე ჭიჭვავასა და ხრამის შესართავთან, მაღალ კონცხზე. ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქს ერტყმის ჭიჭვავას ხევი, რომლის ძირში საუკუნოვანი კაკლის ხეებსა და უშველებელ ლოდებს შორის გზას იკავებს ანკარა მდინარე. სამხრეთით ღრმა ხევის ძირს ცისფერი ზოლით იგრინება ხრამი — ძველი ქცია, შებოქილი ციხეობა კლდეებით, რომლებზედაც უცნაურადაა მოკიდებული დიდი ხეები. ღრმა ხეები იცავენ ციხე-ქალაქს სამი მხრიდან და მას ბუნებრივ სიმაგრედ ხდიან, მეორე, დასავლეთის მხარე, კი დაცულია მაღალი და მძლავრი, ხევიდან-ხევიმდე გარდავლებული გალავნით. ციხე-ქალაქის საერთო სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება, სიგანე კი გაცილებით მცირე აქვს (სულ 120მ). თვით კონცხი ციხის გალავნით თითქმის შუაზე იყოფა — აღმოსავლეთით კონცხის ბოლოს იმყოფება შიდა-ციხე, მის დასავლეთით კი საკუთრივ ქალაქი.

ციხე-ქალაქში მოსახვედრად აწინდელ სოფელ სამშვილდედან ვეშვებით მდინარე ჭიჭვავაზე გადაყვანილ ქვის ხიდისაკენ, აყვებით კლდეან ბილიკს, რომელიც კონცხის ზეგანზე მივიყვანს. აქ ვრცელი კაკლიანის უკან იწყება სასაფლაო, სადაც ცნობისმოყვარე თვალი შეამჩნევს მრავალს საუბრადადღობს. გახეული, გალავანზე მყოფი ძველი ქვაჯვარები და ნაგებობათა ფრაგმენტები, ბალახ-

ში დაფარული საფლავის ქვები მწყემსების, მხედრებისა თუ ხელოსანთა გამოსახულებებით იწვევენ სახეებს, ანახლებენ ზენ-ჩვეულებებს, ხელოვნებასა და კულტურას — ჰიპოთეზა ღებულობს ლოგიკურ ფორმას. აქვე დგას პატარა, ცალნავიანი, ოდნედაც თლილი ბაზალტის კვადრებით შემოსილი ეკლესია. ამჟამად ქვის პერანგი მას მთლიანად შემოცლილი აქვს, აღარაა წარწერაც 60-დე წლის წინათ ამოკითხული სახელოვანი ქართველი მეცნიერის ე. თაყაიშვილის მიერ. ამ წარწერის თანახმად ეკლესია აუგია ვახტანგ V თანამეცხედრის გამაზრდელს ზილიხანს 1672 წ. ეს პაწაწინა ეკლესიაც აცოცხლებს თქვენს შეგნებაში ამდღევანდელ სახეს გლეხის ქალ ზილიხანისა, რომლის ცხოვრების მანძილზე დაგროვებული სახსრები არ ყოფილა საქარისი ეკლესიის აგებისათვის და ამისათვის თავისი გარდაღობის დახმარება — „ხელის პყრობა“ დაჰპირებოდა.

სასაფლაოს აღმოსავლეთით — იწყება ქალაქი. მას იცავს დიდი ლოდებით ნაწყობი, განსაცვიფრებელი სისქის გალავანი, რომელსაც გარედან კლდე კოშკები და კონტრფორსები ამკვრებდნენ. ალაყაფის კარს უკან, იწყება სამი მეტრის სიგანის, ქვის ფილებით მოკირწყლული მთავარი ქუჩა. მისგან ორივე მხარეს მიიმართებიან ვიწრო ჩიხები, მათ შორის კი გამოიყოფა უბნები და საკარმიდამო ნაკვეთები. ყველაზე შენობათა კვალა, ლოდების გროვა და ზედ ყურძნის ვაზი, ველოური ლედე, ტყემალი და ზმირი ბალახი, დახლართული ფესვები შლიან საუკუნეებს, ყოველივეს ერთიან ელფერს ანიჭებენ. ამისდა მიუხედავად, სამშვილდის მრავალმეტყველი ნაშთები აღადგენენ გონებაში გვიანფეოდალური ხანის პატარა, მაგრამ ძლიერი ქალაქის სურათს, მისი ვიწრო ქუჩებითა და ჩიხებით. შფოთვარე ცხოვრებით, ფეოდალთა ქეშპით, გლეხკაცობით, მეციხოვნე ჯარით ალყის შემორტყმის მოლოდინში და სხვ.

აქა-იქ ჯერ კიდევ აღმართულია XVII-XVIII საუკუნეთა მსხვილ ან წვირი ფეოდალთა სახლები — ნანგრევები. ორსართულიანი ქვის შენობები — მარნებით ქვედა სართულში და ზემოთ — დარბაზებით, რომელთა ფართო კარ-სარკმლებიდან და დაკიდული აივნებიდან იშლებოდა ქართველი აღმანისათვის აუცილებელი ფართო ხედი.

ქალაქის გალავნის მახლობლად დგას მდარე ქვით ნაგები სომხური ეკლესია. შეგნით იგი ბინდითაა მოსილი. ბუნელა, ვინაიდან ვიწრო სარკმლებიც ამოქოვლილია. კარიდან შემოსული სხივი თანდათანობით ავლენს საკურთხეველში მდგარ დიდსა და შავ, სანთლების ალისაგან მთლიანად გამჭვარტლულ მონოლითს. რა თქმა უნდა, ჩვენს წინაშეა უხსოვარი საუკუნეები, ეს არის ნამდვილი მენაირი, რომელიც ქრისტიანული ჩვეულებების მებრ ქვაჯვარად გადააკეთეს, ზედ წარწერაც ამოკვეთეს და როგორც რელიკვია აკლესიით შეამკეს. მდ. ხრამის მხარეს დგას კლდე ერთი ძლიერ დანგრეული ეკლესია და აქვე შემინჩევა ოთხ ერთმანეთზე დალაგებული ლოდე და მის მახლობლად ბორბლები და საწნახელის დარბანი ქვები — სოფლის მეურნეობის სახეობათა უტყუარი მაჩვენებელი.

როგორც აღინიშნა, ქალაქის აღმოსავლეთით შიდა-ციხეა განლაგებული. ციხის პირვანდელი სახე ოთხკუთხა მოსაზღვრობისა ყოფილა. დღეს შემორჩენილია მისი დასავლეთის ნაწილი 6 მეტრის სისქისა და 10-12 მეტრის სიმაღლის გალავანი, ავდივართ დანგრეული კიბის საფეხურებით და ზემოთ ვლინდება მისი საბრძოლო ნაწილი — განიერი ტალანი, საიდანაც შეიძლებოდა შუბისა

